4497
F76 N166
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

20 მაისი, 1940 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო № 15 (138) ფასი 30 კაპ.

აკაკი წერეთლის იუბილესათვის

მიმდინარე წლის 20 ივნისიდან დაიწყება დიდი ქართველი მწერლის, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპოპულარესი წარმომადგენლის — აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლის შესრულების აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმი. ამ იუბილეს რეზონანსი შორს გასცილდება საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს.

ა. წერეთლის საიუბილეო დღესასწაული წარმოადგენს დიდი კულტურული აღმაველობის გამოხატულებას, რომელსაც განიცდის ბედნიერი და თავისუფალი საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

დიდი ქართველი პოეტის ხსოვნის აღსანიშნავი ზეიმისათვის ღირსეულად ემზადება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხი. რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში და სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში ენერგიული მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს ამ თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის. საბჭოთა კავშირის უამრავ ხალხთა ენებზე ითარგმნება და იბეჭდება აკაკის რჩეული ნაწერები—ლექსები, პოემები, მოთხრობები, ა. წერეთლის მდიდარი და შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის სხვა და სხვა ენაზე მრავლად ქვეყნდება სტატიები.

საბჭოთა მკითხველი დიდად აფასებს აკაკი წერეთელს, მას დიდად უყვარს იგი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლების განმავლობაში ქართულ ენაზე ყოველწლიურად დიდი ტირაჟებით იცემა მისი ნაწარმოებები, მაგრამ მოთხოვნილება მაინც დიდია.

ა. წერეთელი მახლობელი და ძვირფასია ჩვენი სოციალისტური ეპოქისა, როგორც მოწინავე მებრძოლი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. აკაკი თავდადებული მებრძოლი იყო სიბნელისა, ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ. მას დიდად უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი და ოცნებობდა მის განთავისუფლებაზე თვითმპყრობელობის ბორკილებისაგან. აკაკი დიდი ჰუმანისტი იყო, მისი გული მშრომელი ადამიანისადმი სიყვარულით იწვოდა.

ყველა ამ თვისების გამო უყვარს ხალხს ა. წერეთელი. ამიტომ აფასებენ მას თავისუფალი და ბედნიერი საბჭოთა ქვეყნის შვილები. არასოდეს არ ყოფილა აკაკი ისე მახლობელი ხალხისათვის, როგორც დღეს არის, რადგან მხოლოდ დიდმა სოციალისტურმა ეპოქამ მისცა მშრომელ ხალხს უფართოესი გასაქანი კულტურის მონაპოვართა ნამდვილად და მასობრივად დაუფლების საქმეში.

მთელი საბჭოთა საქართველო ემზადება ამ შესანიშნავი თარიღის ღირსეული აღნიშვნისათვის: იბეჭდება აკაკის სრულ თხზულებათა პირველი ტომები, რჩეული ნაწერების ერთტომეული, ცალკეული ნაწარმოებები და სხვა; დაიწერა და საიუბილეო თარიღის დღეებში გამოვა რამდენიმე მონოგრაფია, მიძღვნილი აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი; 22 ივნისს შესდგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმთან ერთად; პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები. პლენუმი მოისმენს შემდეგ მოხსენებებს: „აკაკი წერეთელი და ქართული საბჭოთა მწერლობა", „ა. წერეთლის მსოფლმხედველობა", „ა. წერეთლის პოეზია", „ა. წერეთელი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი", „ა. წერეთელი და ახალი სალიტერატურო ენა", „ა. წერეთლის ნაწერების თარგმანები სხვადასხვა ენაზე". ეს მოხსენებები დიდად შეუწყობენ ხელს ა. წერეთლის მემკვიდრეობის შესწავლისა და დაუფლების საქმეს. საიუბილეო დღეებში გაიხსნება დიდი გამოფენა, რომელიც მიძღვნილი იქნება აკაკისადმი. მუშათა კლუბებში, კოლმეურნეობებში, წითელ არმიაში, სკოლებში მოეწყობა მოხსენებები და სალამოები, საზეიმო თარიღისათვის სათანადოთ ემზადებიან აგრეთვე ხელოვნების სხვა დარგების მუშაკები.

კულტურული დღესასწაული, რომელიც მიძღვნილია ა. წერეთლისადმი, წარმოადგენს გაგრძელებას იმ კულტურული დღესასწაულებისა, რომლებიც მიეძღვნა სსრ კავშირის სხვადასხვა ხალხის პოეტებსა და პოეტურ ნაწარმოებებს — რუსთაველს, პუშკინს, შევჩენკოს, ი. ჭავჭავაძეს, სომხურ ეპოსს „დავით სასუნცს" და სხვ. დიად სახელთა ამ გამოძახებაში მეტად მკაფიოთ მოსჩანს საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობა და მათი კულტურული მისია.

ა. წერეთლის იუბილე ერთხელ კიდევ გვიჩვენებს მთელი სიძლიერით, თუ როგორის დიდებით და სიყვარულით მოსავს კომუნიზმის მშენებელი ქვეყანა წარსული კულტურის საუკეთესო ძეგლებს. **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიად მოძღვრებაზე აღზრდილი ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი, საკაცობრიო კულტურის მონაპოვართა ერთად ერთი ღირსეული მემკვიდრე და დამფასებელია.

საიუბილეო თარიღი მოახლოვებულია. მომზადებისათვის დიდი დრო აღარ დაგვრჩენია. საჭიროა საიუბილეო კომიტეტის, საბჭოთა მწერლების მთელი კოლექტივის ენერგიული ამოქმედება იმ საპასუხისმგებლო მუშაობის ჩასატარებლად, რომელსაც გვისახავს ა. წერეთლის საიუბილეო ზეიმი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა

11 მაისს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იდგა საკითხი—მომზადება ა. წერეთლის დაბადებიდან ასი წლის შესრულების საიუბილეო დღეებისათვის.

პრეზიდიუმმა დაადგინა: 22 ივნისისთვის მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობის გაფართოებული პლენუმი საკავშირო მწერალთა გამგეობის პრეზიდიუმთან ერთად. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები.

პრეზიდიუმმა გამოიმუშავა პლენუმის შემდეგი დღის წესრიგი: „ა. წერეთელი და ქართული საბჭოთა მწერლობა", „ა. წერეთლის მსოფლმხედველობა", „ა. წერეთლის პოეზია", „ა. წერეთელი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი", „ა. წერეთელი და ახალი სალიტერატურო ენა", „ა. წერეთლის ნაწერების თარგმანები სხვადასხვა ენაზე".

ზემოთ დასახელებულ მოხსენებათა წასაკითხავად პრეზიდიუმმა უკვე გამოჰყო მომხსენებლები, რომელთაც 5 ივნისამდე უნდა წარმოუდგინონ პრეზიდიუმს მოხსენებები.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე გაზეთ „კომუნისტის" 20 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებში მწერალთა მონაწილეობის საკითხი და ამისათვის გამოჰყო მწერლები. გადაწყდა მწერალთა სასახლეში მოეწყოს მწერლების შეხვედრა „კომუნისტის" რედაქციასთან.

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი, მიძღვნილი ყალმუხური ეპოსის „ჯანგარისადმი"

ყალმუხური ეპოსის „ჯანგარის" არსებობიდან 500 წლის შესრულების გამო, სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა დაადგინა, 28 მაისს ყალმუხეთა ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში ელისტაში მოწვეულ იქნას მწერალთა კავშირის მერვე პლენუმი.

პლენუმზე წაკითხული იქნება მოხსენებები: „ჯანგარი" — ყალმუხების უდიდესი ეპოსი" (მომხს. ე. კირპოტინი), „სსრკ ხალხთა ეპიური ნაწარმოებები და „ჯანგარი" (მომხს. ი. სოკოლოვი), „მონღოლურ ხალხთა ეპოსი და „ჯანგარი" (მომხს. აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ნ. პოპე), „ყალმუხური მხატვრული ლიტერატურა" (მომხს. ყალმუხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ც. ეეჯინოვი) და სხვ.

საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ მოძმე რესპუბლიკების საბჭოთა მწერლები. მოსკოვიდან ელისტაში 25 მაისს გაემგზავრება მწერალთა დელეგაცია. საქართველოდან დღესასწაულზე მიემგზავრება დელეგაცია ა. გომიაშვილის, ქ. კალაძის, ქ. ქიქინაძის და გრ. აბაშიძის შემადგენლობით.

„ჯანგარის" საიუბილეო დღეებში ელისტაში სამხარეთმცოდნეო მუზეუმში გაიხსნება უდიდესი ეპოსისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ამავე დღეებში ყალმუხეთის სახელმწიფო თეატრი დადგამს ბ. ბასანგოვის პიესას „ბუმბის ქვეყანა". პიესა დაწერილია „ჯანგარის" მოტივებზე. ყალმუხეთის ცეკვისა და სიმღერების სახელმწიფო ანსამბლი შეასრულებს „ჯანგარის" მოტივებზე დაწერილ ორატორიას.

მოძმე რესპუბლიკებშიაც ემზადებიან „ჯანგარის" იუბილესათვის. ლენინგრადის ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი აწყობს ამ ეპოსისადმი მიძღვნილ გამოფენას. წარმოდგენილი იქნება „ჯანგარში" ასახული ეპოქის კულტურისა და ყოფაცხოვრების ექსპონატები.

რუსეთის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა რუსულ ენაზე სცემს საბჭოთა ყალმუხეთის პოეზიის კრებულს. იგივე გამომცემლობა იუბილესათვის ამზადებს „ჯანგარის" საუცხოვო გამოცემას. ეპოსი თარგმნილია პოეტ ს. ლიპკინის მიერ.

იუბილესთვის გამოდის „ჯანგარის" ცალკეული თავები უკრაინულ, ქართულ, ბელორუსულ, სომხურ, ყაზახურ, თათრულ, ბაშკირულ, ჩუვაშურ და ყირგიზულ ენებზე.

თვითკმაყოფილებისა და ეკზოტიკის შესახებ

საბჭოთა პატრიოტიზმის თემა ფართო და მრავალფეროვანია. ყველაფერი ის, რითაც ჩვენი ხალხი ამაყობს, რაც მის უგულითადეს საგანძურად ქცეულა, ის ადამიანები თუ მოვლენები, რომელთა უბრალო ხსენებაც აღფრთოვანებას იწვევს ხალხის გულში, — ყოველივე ეს საბჭოთა პოეტისათვის წარმტაც და საყვარელ თემას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ შედის სრული უფლებით ჩვენი ხალხის გმირული წარსულის თემა საბჭოთა პატრიოტიზმის თემატიურ არსენალში. თანამედროვე პოეტმა თავის ლექსებში უნდა გამოხატოს ის ადამიანები, რომელთა სახელებს საუკუნეების განმავლობაში უმღეროდა და ეალერსებოდა ხალხის ფანტაზია, რომელთა შესახებაც ლეგენდები იქმნებოდა, რომელნიც სიცოცხლესა სწირავდნენ მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად და მკერდით უხვდებოდნენ ყველა ჯურის თავდამსხმელებსა და აზიის ველური ურდოების შემოტევას. ის პოეტი, რომლისთვისაც ჩვენი სამშობლოს წარსული დახურული და უცნობი წიგნია, ვერც თანამედროვეობის სრულყოფილად გამოხატვას შესძლებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართველი ხალხის ისტორიამ დამსახურებულად მიიპყრო თანამედროვე პოეტების უდიდესი ყურადღება და ამ თემაზე მრავალი საუკეთესო ნაწარმოები დაიწერა. სულ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა გრ. აბაშიძის „თელავის ციხის ლეგენდა", ვ. გაბესკირიას „წინაპართა ბრძოლები სამშობლოსათვის" და „ძველ საქართველოში", შ. აფხაიძის „სამასი არაგველი", „წამებული", „წინაპარი", გ. ძიგვაშვილის „გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე", რ. მარგიანის „ყაბულათი" და სხვ.

ამ ნაწარმოებებში გაცოცხლებულია წარსული და ეს ლექსები ამდიდრებენ საბჭოთა პოეზიას, რომლისთვისაც უაღრესად ძვირფასი და საინტერესოა ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორია.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენს ლიტერატურაში შესამჩნევია ერთგვარი არასწორი ტენდენცია, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ მრავალი პოეტი გადაჭარბებით გაიტაცა წარსულმა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარსულზე წერა კარგი საქმეა და საჭიროც არის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენს ხალხს აქვს არა მარტო გმირული წარსული, არამედ გმირული, დიდებული და ბრწყინვალე აწმყოც. ეს თანამედროვეობა შედარებით მკრთალად სჩანს ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენი სოციალისტური სამშობლო გმირების ქვეყანაა, ისეთი უბადლო გმირებისა, რომელთა მსგავსი ჯერ არ უნახავს მსოფლიოს, არც ერთ დროს, არც ერთ ქვეყანაში. უკანასკნელ ხანებში ჩვენი წითელი არმიის მეომრებმა ლეგენდარული სიმამაცის ახალი სასწაულები მოახდინეს, კიდევ ერთხელ განაცვიფრეს თავისი ვაჟკაცობით მთელი კაცობრიობა. ნუთუ შეიძლება იყოს უკეთესი თემა პოეტისათვის, ვიდრე ის წარმატება, რომელიც სტალინურმა შევარდნებმა გაამფთრებულ მტერთან ბრძოლაში მოიპოვეს? მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არა გვაქვს ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც მთელი სიდიადით უნდა გამოხატულიყვნენ საბჭოთა პატრიოტების უკვდავი საქმეები. 1940 წელს პოეტმა კ. კალაძემ ჩვენს მამაც წითელ არმიას უძღვნა ვრცელი ბალადა „გამარჯვებული", რომელშიაც ასახულია ორი სოფელელი ბიჭის,—მეგობრების ბრძოლა სამშობლოს დასაცავად შორეულ ჩრდილოეთში. ერთი მათგანი იღუპება, მეორე გამარჯვებული ბრუნდება სოფელში. იქვე მოცემულია შეხვედრა ქალთან, რომელიც ორივეს უყვარდა. აქ არის ბრძოლისა და სიცოცხლის რომანტიკა, გმირული პათოსი და უნაზესი სიყვარული, მკაფიოდ გამოკვეთილნი არიან ადამიანები ბრძოლაშიც და მეგობრობაშიც. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს გ. ჯაბუშანურის ლექსი „წერილი წითელარმიელებს", რომლის ყოველი სტრიქონი გამთბარია უღრმესი საბჭოთა პატრიოტიზმით:

„და თუ ჩვენი მზის სხივთა ვარაყებს
ესროლა ვინმემ შავი ღრუბელი,
გვერდს მოგიდგებით და ვიამაყებ,
თუ სამშობლოსთვის დავიღუპები.
მეც თუ მტრის სისხლით არ შევიღებე
ჩოხა და დავდეგ ტანმორკალული,
ვიცი, საფლავში არ მიმიღებენ,
მზე-ხოგაი და ხიმიკაური".

„ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე დაიბეჭდა ამავე თემისადმი მიძღვნილი საუკეთესო ლექსი დ. გაჩეჩილაძისა „სამშობლოსათვის, სტალინისათვის".

ამ თემაზე, საბჭოთა ადამიანის გმირობისა და სიმამაცის თემაზე, წითელარმიაზე მიმდინარე წელს ქართულ პოეზიაში სხვა არაფერი დაწერილა ისეთი, რომ ყურადღების ღირსი იყოს. და ეს მით უმეტეს საოცარია, რადგან სწორედ მიმდინარე წელია ყველაზე მდიდარი გმირული მოვლენებით, სწორედ წელს გაართვეს წითელი არმიის მამაცმა მეომრებმა ისეთი სიმაგრეები, რომელნიც მანამდე მიუვალად იყვნენ ცნობილნი. ამ დიდმა ბრძოლებმა საქვეყნო სახელი გაუთქვა საბჭოთა პატრიოტების არმიას. მკითხველს უნდა მივცეთ საუკეთესო წიგნები ამ ადამიანების ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ, წიგნები, რომლებსაც მკითხველები ხელიდან გამოსტაცებენ ერთიმეორეს, უნდა მივცეთ ლექსები, რომლებსაც მილიონები ზეპირად ისწავლიან.

ამჟამად შუაგულ ევროპაში ბობოქრობს ომის ხანძარი, რომელიც ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებმა გააჩაღეს. ინგლის-საფრანგეთის ბლოკი ცდილობს ომის ცეცხლი ახალ ტერიტორიებზე გადაიტანოს და ომის ახალი კერები შექმნას. ჩვენი ქვეყანა ბრძნული სტალინური საერთაშორისო პოლიტიკის შედეგად განაგრძობს თავის მშვიდობიან ცხოვრებას, მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიმყოფებით. ჩვენმა ხალხმა უფრო მეტად განამტკიცა თავისი მობილიზაციური მზადყოფნა, რათა ელვის სისწრაფით გაანადგუროს მტერი, თუ კი ის გაბედავს და ჩვენს ქვეყანას თავს დაესხმება. საბჭოთა მწერალი თავისი მხატვრული სიტყვით, მხატვრული შემოქმედებით უაღრესად აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცების საქმეში.

ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს იმას, რომ წარსულის ასახვა არ უნდა ჩრდილავდეს თანამედროვეობის ცოცხალ თემატიკას. საბჭოთა მწერლის ყურადღების ცენტრში საბჭოთა ქვეყნის დღევანდელობა უნდა იდგეს. წარსულის ასახვა არ უნდა გადაიქცეს თვითმიზნად. ჩვენს ლიტერატურაში კი ასეთი ტენდენციაა. წარსული ასახულ უნდა იქნას თანამედროვეობასთან კავშირში, დანახულ უნდა იქნას ეპოქათა მემკვიდრეობის ასპექტში. ჩვენი წინაპრები, იცავდნენ რა სამშობლოს, იმ თავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის იბრძოდნენ, რომელიც დღეს დამკვიდრებულია ჩვენს ქვეყანაში. ამ გაგებით უნდა შუქდებოდეს წარსულის თემატიკა.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი მწერლების ერთი ნაწილი თვითკმაყოფილებამ შეიპყრო. საბჭოთა მწერლისათვის — იქნება ის პარტიული თუ უპარტიო ბოლშევიკი—თვითდამშვიდება უცხო უნდა იყოს. რაც უნდა მაღალ წარმატებას მიაღწიო (ჩვენმა პოეტებმა კი ასეთ წარმატებებს მიაღწიეს), მაინც წინ უნდა ისწრაფვოდე. ჩვენში კი ამას ხშირად ვერ ვხედავთ. პოეტები, რომლებიც ადრე აქტიურად მუშაობდნენ, დღეს რატომღაც დამშვიდდნენ და ნაწილობრივ გაჩუმდნენ. ეს უაღრესად არა სასიამოვნო ამბავია. ჩვენმა პოეტებმა გულმოდგინედ უნდა იმუშაონ ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

მაგრამ არის მეორე ნაკლიც, სახელდობრ ის, რომ ამ ბოლო ხანებში ჩვენს პოეზიაში თავი იჩინა რაღაც უფერულმა, უიდეო სანტიმენტალიზმმა. ეს უმთავრესად ითქმის ახალგაზრდა მწერლების ერთი ნაწილის შესახებ, იმ მწერლების შესახებ, რომელთაც ყველაზე მეტად აქვთ მომადლებული ახალგაზრდული ენთუზიაზმი, მაგრამ რატომღაც ეს ენთუზიაზმი მათს ლექსებში ყველაზე ნაკლებად მოსჩანს. მართალია, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უიდეო სანტიმენტალიზმი ახასიათებს არა ყველა ახალგაზრდა მწერალს. უკეთ რომ ვსთქვათ, არა ყველა მათს ნაწარმოებს. ალ. საჯაიას „ხასანი ჩვენია", შ. ამისულაშვილის „სიმღერა ნაომარ მაზანაზე", გ. ძიგვაშვილის „ზღაპარი კოლხიდაზე", გ. კალანდაძის „გზა დედა - ქალაქიდან ლენინის ქალაქისაკენ", რ. მარგიანის „თქვენ სამუდამოდ სიმართლესთან დაგვაძმობილეთ" და მრავალი სხვა სოციალისტური ლირიკის საუცხოვო ნიმუშებია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას გარდა მრავალი ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებით პროდუქციაში სჭარბობენ უიდეო სანტიმენტალური ლექსები. ზოგჯერ ისინი სწერენ ბუნებაზე, ფოთლებზე, ბალახებზე არა ისე, როგორც ამ მოვლენებს ჯანსაღი, მხნე და ნათელი განწყობილების პოეტის თვალი დაინახავდა, არამედ რაღაც მიბნედილ, მოქანცულ კილოზე. მრავალ ლექსში იგონებენ თავიანთი ბავშვობის დღეებს და ნანობენ, რომ ისინი აღარ დაბრუნდებიან. ნუ თუ ეს ბუნებრივია?! როცა პირტიტველა ჭაბუკი თავის ვითომდა გარდასულ სიჭაბუკეზე დაიწყებს წუწუნს, ეს უკვე თეატრალური პოზაა.

საუცხოვოდ სწერდა პოეტი გიორგი ლეონიძე:

„ვინ დაგაყარა გულზე ქეიფანი,
არ ამოვიდეს ლექსის ბალახი?
ახალგაზრდობა, შენი ნიშანი,
თავზე გადგია ვით ჩაბალახი.
ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით —
აღიდებული, დამჩქეფებული,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.
დღევანდელი დღის პასუხმგებელო,
ჩაასვი სიტყვა — ტყვია ტყვიაში!
მიწას არ ახსოვს დღეს სხვა პოეტი
გამომწყვდეული კუბოს წყვდიადში.
და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე,
რაც სიცოცხლეთი არი ცხოველი:
მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი, —
შენი სიტყვების ღიმილს მოელის.
შენ გელოდება დასასტამბავად,
ათიათასი ჩანჩქრის ბღავილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია —
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი!".

ნამდვილი პოეზია თავისთავად სიჭაბუკეა, მღიმარე სიცოცხლეა, მარად მწვანე ხე ცხოვრებისა, როგორც უყვარდა თქმა მოხუც გოეტეს. მაშ საიდანაა ის ნაადრევი მოხუცება, ის მინაზებული ესთეტიზმი, ის ძალათი ხმის დაწვრილება, რომელიც ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის ლექსებში ისმის და რომელიც არასოდეს ორგანიული არა ყოფილა ქართული ლიტერატურისათვის? ქართული პოეზია თავის განვითარების უმაღლეს მწვერვალებზე მუდამ მოქალაქეობრივი, მუდამ ვაჟკაცური პოეზია იყო. მას ფართო საზოგადოებრივი ინტერესი და მგზნებარება ახასიათებდა და ახასიათებს. ეს თვისებები ქართულ პოეზიას ჯერ კიდევ რუსთაველმა დაანათლა. თვით სიყვარული, რომელსაც რუსთაველი უმღეროდა („სიყვარული აღგვამაღლებსო"), იყო სიყვარული ვაჟკაცური ადამიანებისა, რომელნიც მაგრათ დგანან მიწაზე. ეს ტრადიციები უნდა დავიცვათ და თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მათ. ის პოეტები, რომელნიც აზრსა და გრძნობას დეკადენტური პოეზიის სალაროდან სესხულობენ, რომელნიც თავიანთ ინტიმურ განცდებს სხვისი წიგნების მიხედვით ჰქმნიან, უნდა დარწმუნდნენ, რომ ამ გზით ისინი საკუთარ სახეს ვერ დაიმკვიდრებენ, ადამიანის სულის ინჟინრის საამაყო სახელს ვერ გაამართლებენ.

განა იმ პოეზიას, რომელიც თვალებმინაბული ჭიკჭიკებს არა ამქვეყნიურ მოვლენებზე, შეუძლიან გაჰყვეს ჩვენს მამაც პოლკებსა და ესკადრილიებს, როცა ისინი — თუ ეს საჭიროებამ მოითხოვა — ბრძოლის ველზე წავლენ?

მესამე ნაკლი ჩვენი ლიტერატურისა არის გადაჭარბებული გატაცება ეკზოტიკით. ზოგიერთი ახალგაზრდა, პოეტები ცდილობენ ისევ გააცოცხლონ მწერლობაში ძველი თბილისის ეკზოტიკა თავისი კინტოებით და სამიკიტნოებით. მაგრამ რაღა უნდა ითქვას ამ თემაზე ახალი გრ. ორბელიანისა და ი. გრიშაშვილის შემდეგ? ყველა დროს აქვს თავისი სიმღერა, თავისი კილო და მოტივი. „საწყალ ნიკალაზე" და სამიკიტნოზე სიმღერით ვეღარავის გააოცებ. იმღერეს ამაზე და გაათავეს.

ეკზოტიური თვალსაზრისით აშუქებენ ხშირად მთის თემატიკასაც. ცხადია, საჭიროა წერა ხევსურეთზედაც და სვანეთზედაც, მაგრამ საქმე იმაშია, რა თვალსაზრისით სწერ, რა ასპექტში იღებ თემას. ბევრი ჩვენი მწერალი ისე სწერს ხევსურებზე, როგორც ოდესღაც შატბრიანი ნატჩესებზე სწერდა. როცა ალექსანდრე ყაზბეგი მთიელების ცხოვრებაზე სწერდა, იქ კიდევ არ იყო ეკზოტიკა, რადგან იქ არ იყო ის დისტანცია მასალასა და მწერალს შორის, რომელიც ეკზოტიკას ჰქმნის, იქ მწერალი ახლოდან იცნობდა თემას. თანამედროვე ლიტერატურაში არის მრავალი იმის მაგალითი, რომ თუ მწერალმა მიზნად დაისახა გმირობის და ვაჟკაცობის იდეალი გვიჩვენოს, მისი გმირი აუცილებლად ან ხირხლა იქნება ან ჯანსული. მერე ეს სალოდავი ხირხლები დაერევიან ერთმანეთს ხანჯლებით და სულ ერთიანად ამოსწყვეტენ ურთიერთს—ძმა ძმასა ჰკლავს, მამა შვილს, მოდის და მოდის სისხლი ზღვად.

ეს ეთნოგრაფიული ბურუსი და ეკზოტიურობა უნდა შეიცვალოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ყოფა-ცხოვრების ღრმა შესწავლით და რეალისტური გამოსახვით.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა აყვავდა, გაიზარდა და გაძლიერდა. ჩვენს მწერლობას მრავალი სამაყო წარმატება გააჩნია,—ამ წარმატების შესახებ აქ არ გვილაპარაკნია, ჩვენ მხოლოდ ნაკლოვანებანი აღვნიშნეთ, რომელთა დროულ გამოსწორებას საბჭოთა ლიტერატურის წინმსვლელობის საქმე მოითხოვს.

ქართველმა საბჭოთა მწერლებმა უნდა დაძაბონ თავიანთი ძალღონე იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ, უფრო ნათლად, უფრო ღრმად ასახონ დღევანდელობა და მიაღწიონ ახალი კლასიკური აღორძინების მწვერვალს. ჩვენს მწერლობას შესწევს ამისი ძალა და უნარი.

გ. ნატროშვილი

მხატვრული ლიტერატურა გაზეთში

ქართულ გაზეთ **„კომუნისტს"** მიმდინარე წლის ივნისში ოცი წელი უსრულდება. მან გამოსვლა იწყო ქართველი ხალხის ისტორიის შავბნელ და მძიმე წლებში, ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების — მენშევიკების ბატონობის წლებში. გაზეთი „კომუნისტი" არის ამხანაგ **სტალინისა** და მისი სახელოვანი თანამებრძოლის, **ლადო კეცხოველის** მიერ ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე შექმნილი მებრძოლი არალეგალური ბოლშევიკური გაზეთების — **„ბრძოლის"**, **„პროლეტარიატის ბრძოლის"**, **„ახალი დროების"**, **„დროს"** სახელოვანი ტრადიციების მემკვიდრე და განმგრძობი.

გაზეთი „კომუნისტი" რაზმავდა ქართველ ხალხს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის კამარჯვებისათვის საბრძოლველად, იმისათვის, რომ საქართველო გადაქცეულიყო მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელმაც თავისი მეურნეობისა და კულტურის აყვავებას მიაღწია ერთგული სტალინელის **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით.

თავის მუშაობაში „კომუნისტი" ფართოდ იყენებს მხატვრულ ლიტერატურას, როგორც კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებას. გაზეთის აქტიური თანამშრომლები არიან საუკეთესო ქართველი მწერლები, კრიტიკოსები, პოეტები. მის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება მხატვრულ ნაწარმოებთა ნაწყვეტები. აქ ცალკეულ თავებად დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის თითქმის მთელი პოემა „ბავშვობა და ყრმობა" (პოეტური ეპოპეის „სტალინის" პირველი წიგნი). მკითხველთა ფართო მასები „კომუნისტის" მეშვეობით გაეცნენ ქართველი პოეტების — გ. ტაბიძის, ალიო მაშაშვილის, ი. მოსაშვილის, ს. შანშიაშვილის, ირ. აბაშიძის საუკეთესო ლექსებს. ჩვენი დიდი თანამედროვეობის შესანიშნავი ამბების შესახებ პოეტურ გამოხმაურებას იძლევიან „კომუნისტის" ფურცლებზე პოეტები ა. აბაშელი, ს. ეული, ვ. გაფრინდაშვილი, ქ. კალაძე, მარიჯანი, გ. ქუჩიშვილი.

გაზეთ „კომუნისტის" მეშვეობით ხდება თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ნაწარმოებთა პოპულარიზაცია. გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება შ. დადიანის, ლეო ქიაჩელის, კ. გამსახურდიას, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, პ. ჩხიკვაძის, ა. ბელიაშვილის, ა. ჭეიშვილის, ე. პოლუმორდვინოვის და სხვების ახალი რომანებისა და მოთხრობების ნაწყვეტები.

გაზეთი არა მარტო აქვეყნებს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ნიმუშებს, არამედ რაზმავს კიდევაც საზოგადოების აზრს ამ ნაწარმოებთა გარშემო. „კომუნისტი" გარდა იმისა, რომ ქართული ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენათა კრიტიკულ შეფასებას იძლევა (ამ გაზეთში სისტემატურად თანამშრომლობენ ქართველი კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები: შ. რადიანი, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, ბ. ჟღენტი, ლ. ასათიანი, ი. წულუკიძე, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, ა. სულავა და სხვ.), იგი აწყობს ახალი წიგნების განხილვას საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. გაზეთის ინიციატივით მოეწყო თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა კრებაზე, აგრეთვე გალისა და სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებში ლეო ქიაჩელის რომანის „გვადი ბიგვას" განხილვა. ალ. ჭეიშვილის რომანი „ლელო" განხილულ იქნა ნატანების ჩაის კოლმეურნეობაში, სწორედ იმ რაიონში, რომლის ცხოვრებიდანაც აღებული აქვს ავტორს თავისი რომანის გმირების პროტოტიპები და ის რეალური ეპიზოდები, რაც საფუძვლად დაედო რომანში დასურათებულ ქართველი კოლმეურნე ახალგაზრდობის ყოფაცხოვრების დამახასიათებელ სიტუაციებს.

გაზეთის ეს კარგი ინიციატივა ყოველნაირად უნდა წახალისდეს და მისაბაძი უნდა გახდეს სხვა გაზეთებისათვის.

გაზეთი განსაკუთრებით ფართოდ და მკაფიოდ აშუქებს სოციალისტური სოფლის ყოფა-ცხოვრებას, საკოლმეურნეო წყობილების განუხრელ ზრდას.

გაზეთმა მიიზიდა მოწინავე ქართველი მწერლები სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე სასოფლო-სამეურნეო რაიონების, კოლმეურნეობებისა და ცალკეული კოლმეურნეების წარმატებათა და მიღწევათა გასაშუქებლად.

ამ თაოსნობის შედეგად დაიწერა ქართველი მწერლების — ი. მოსაშვილის, შ. დადიანის, ლ. ქიაჩელის, დ. შენგელაიას, კ. ლორთქიფანიძის, ა.ქ.ბელიაშვილის, რ. ქორქიას, ს. ფაშალიშვილის, ელ. პოლუმორდვინოვის დიდი მხატვრული ნარკვევები კოლმეურნე გლეხობის შესახებ.

გაზეთმა დიდი მუშაობა გასწია თანამედროვე პოეტური ფოლკლორის შესაგროვებლად და დასამუშავებლად, სახალხო მგოსან-მთქმელების გამოსავლინებლად.

„კომუნისტის" ფურცლებზე, ცნობილი ქართველი საბჭოთა პოეტების ნაწარმოებებთან ერთად, დიდი წარმატებით იბეჭდება ლექსები სახალხო მოლექსეებისა, რომელთა სახელმაც უკვე დამსახურებული პოპულარობა მოიპოვეს ქართველ ხალხში. სახალხო მოლექსე კოლმეურნეები, მწყემსები, ახალი ცხოვრების მშენებლები — ისაკო მირიანაშვილი, გიორგი ქადაგიძე, ა. კუდიანაშვილი, გ. ხეთაგური, გ. ლიქოკელი, გ. კანანელი, პ. გეჯურაშვილი, ს. ჩანგაშვილი, ნ. ბენიძე, ი. მუკბანიანი, ა. ბიბილური და სხვები თითქოს ეჯიბრებიან თანამედროვე ქართული ლექსის გამოჩენილ ოსტატებს სტალინური ეპოქის სიდიადის პოეტურ ასახვაში. მათი სახით თვითონ ხალხი უსაზღვრო გულწრფელობით გამოხატავს თავის უღრმეს სიყვარულსა და ერთგულებას ბოლშევიკების დიადი პარტიისადმი და ხალხთა ბრძენი ბელადის, მშობლიური **სტალინისადმი**.

მშობელი ქვეყნის მთა-ბარო,
სიამევ ხალხის გულისა!
მშრომელთა ოფლით ნაბანო
სიმბოლოვ სიყვარულისა!
აყვავებულო ბაღნარო,
სიტურფევ გაზაფხულისა,
სტალინური მზით გამთბარო
ნუგეშო დაჩაგრულისა.
შენ შობე დიდი სტალინი
ჩვენი გული და გონება,
ხალხისთვის ასე ძვირფასი
ცხრა მზეც არ შაიგონება.

(ალ. კუდიანაშვილი — „შენს დაბადებაზე, ბელადო!").

მწყემს ალ. ბიბილურს მოჰყავს ეპიზოდი ამხანაგ **სტალინის** შეხვედრისა და საუბრისა ქართული საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანებთან. ლექსი თავდება ამხანაგ **სტალინისა** და მწყემსის ასეთი დიალოგით:

ქართულად „გამარჯობა" სთქვა;
თან ამბავს მკითხავს მთისასა, —
— „აღარ მღერიო მთიელო,
„სამშობლო ხევსურისასა?!"
— „მე როდი მქონდა სამშობლო,
ღატაკს პირ მიწა მეყარა,
ეხლა კი ყველაფერი მაქვს —
მიწა, სამშობლო, ქვეყანა!"

ხალხური პოეზიის ასეთი მკაფიო ნიმუშები ამშვენებენ გაზეთის 1939 წლის 21 დეკემბრის ნომერს, რომელიც მიძღვნილია ამხანაგ **სტალინის** დაბადების სამოცი წლისთავისადმი. ამ ნიმუშებიდან საუკეთესონი დაბეჭდილია გაზეთის მიერ გამოცემულ კრებულში **„ი. ბ. სტალინი"**. ამ კრებულში, გარდა ხალხური ლექსებისა და სიმღერებისა სტალინზე, თავმოყრილია აგრეთვე მოგონებანი ამხანაგ სტალინის ჭაბუკობის წლებზე და ნარკვევები იმ ადგილებზე, სადაც რევოლუციურ ბრძოლას ეწეოდა ხალხთა ბელადი.

გასული წლის დეკემბერში გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ მოაწყო სახალხო მოლექსე-მთქმელთა რესპუბლიკური შეკრება. ამ შეკრებაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ახალი ხალხური პოეზიის შემოქმედნი, რომელნიც ჩამოვიდნენ საქართველოს ყველა რაიონიდან და კუთხიდან: ხევსურეთიდან, ფშავეთიდან, სვანეთიდან, კახეთიდან, ქართლიდან, გურიიდან, იმერეთიდან და სხვ. მათთან თათბირის შედეგად დიდი მუშაობა გაჩაღდა თანამედროვე ფოლკლორის ჩასაწერად და დასამუშავებლად. ამჟამად რედაქციის განკარგულებაშია უმდიდრესი მასალა კრებულისათვის, რომელშიც მოთავსებული იქნება ხალხური ლექსები და სიმღერები სოციალისტური სოფლის, გამარჯვებული საკოლმეურნეო წყობილების შესახებ. ეს კრებული მზადდება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

მხატვრული ლიტერატურა „კომუნისტის" მუშაობის აუცილებელი ორგანიული შემადგენელი ნაწილი გახდა. ამ მხრივ გაზეთი შეიძლება ნიმუშად გამოდგეს მრავალი რესპუბლიკური გაზეთისათვის.

ლიტერატურის კლასიკოსთა საიუბილეო თარიღების ფართოდ გაშუქება გაზეთს სრულიადაც არ უშლის ხელს ღირსეული ყურადღება დაუთმოს თანამედროვე ლიტერატურის საკითხებს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „კომუნისტი" განაგრძობს მუშაობას, რათა საბჭოთა მწერლებმა ფართო მონაწილეობა მიიღონ გაზეთში. ეს დაეხმარება გაზეთს კარგად მოაწყოს კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება, უფრო ხშირად და უფრო ღრმად გააშუქოს თავის ფურცლებზე საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი საკითხები.

ბესო ჟღენტი

---

*) დაბეჭდილია „ლიტერატურნაია გაზეტა"-ში 6 მაისს 1940 წ. № 25 (876).

ფრიდრიხ ენგელსი

(გარდაცვალებიდან 45 წლის შესრულების გამო)

კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა პირველად მსოფლიო ისტორიაში შექმნეს მეცნიერული სოციალიზმის მწყობრი და ურღვევი თეორია და ამრიგად მუშათა კლასს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ჭეშმარიტი გზა უჩვენეს. ეს გენიალური ადამიანები მთელი ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობას, ანმტკიცებდნენ და რაზმავდნენ მის რიგებს; მათ გენიალურად ნათელჰყვეს, რომ პროლეტარიატი არის ერთად-ერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, რომელიც ისტორიულად მოწოდებულია გაანადგუროს ძველი წყობილება, გაანადგუროს ის საზოგადოებრივი ფორმაცია, რომელიც აგებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე.

მუშათა კლასის დიდმა ბელადებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა მთელი თავიანთი დიდებული სიცოცხლე მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს შესწირეს.

ფრიდრიხ ენგელსი დაიბადა 1820 წ. 28 ნოემბერს, ქალაქ ბარმენში (გერმანია, რეინის პროვინცია). ადრეული სიჭაბუკის დღეებიდანვე შეითვისა და შეისისხლხორცა მან რევოლუციურ - დემოკრატიული მისწრაფებანი. ამ წლებიდანვე აღივსო მისი გული მშრომელთადმი უსაზღვრო სიყვარულით. უკვე ამ დროიდან ახალგაზრდა ენგელსი გატაცებით იწყებს მუშათა კლასის შრომის პირობებისა და ყოფა-ცხოვრების შესწავლას. რომ უფრო უკეთ შეესწავლა სამრეწველო კაპიტალიზმის ვითარება, ოცდაორი წლის ენგელსი 1842 წელს ინგლისში მიემგზავრება.

„1844 წლის სექტემბერში პარიზში რამდენიმე დღით ჩავიდა ფრიდრიხ ენგელსი, რომელიც მას შემდეგ მარქსის უახლოესი მეგობარი გახდა. ორივემ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს პარიზის რევოლუციური ჯგუფების იმ დროინდელ აღგზნებულ ცხოვრებაში (განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა პრუდონის მოძღვრებას, რომელთანაც მარქსმა გადაჭრით გაასწორა ანგარიშები თავის „ფილოსოფიის სიღატაკეში“, 1847 წელს) და, მედგრად შეებრძოლნენ რა წვრილ ბურჟუაზიული სოციალიზმის სხვადასხვა მოძღვრებას, შეიმუშავეს რევოლუციური **პროლეტარული სოციალიზმის ანუ კომუნიზმის (მარქსიზმის) თეორია და ტაქტიკა“ (ლენინი—რჩეული ნაწერები, ტ. VI, გვ. 8).**

1845 წელს გამოვიდა ფრიდრიხ ენგელსის წიგნი „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“. ამ წიგნში ენგელსმა ნათელჰყო შრომის ის ჯოჯოხეთური პირობები, ის ველური ექსპლოატაცია, რომელსაც მუშათა კლასი განიცდიდა, ამ წიგნმა ცხადად უჩვენა მშრომელებს, რომ თვით არსებული სინამდვილე უკარნახებდა მათ, დაეწყოთ გადამწყვეტი ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, გაეჩაღებინათ სოციალისტური მოძრაობა.

„მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, რომ კაპიტალის ძალა-უფლებისაგან თავის დაღწევა და კაპიტალისტური საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად შეუძლებელია მშვიდობიანი გზით, რომ ამის მიღწევა მუშათა კლასს შეუძლია მხოლოდ რევოლუციური ძალდატანების გამოყენებით ბურჟუაზიის წინააღმდეგ, **პროლეტარული რევოლუციის** გზით, თავისი პოლიტიკური ბატონობის — პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით, რომელმაც უნდა დათრგუნოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა და შექმნას ახალი, უკლასო კომუნისტური საზოგადოება“. („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“).

მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს მეცნიერული სოციალიზმის ფილოსოფია—მატერიალისტური დიალექტიკის თეორია, რომელიც წარმოადგენს მარქსისტულ - ლენინური პარტიის მსოფლმხედველობას.

გენიალურმა თეორეტიკოსებმა, უდიდესმა პოლიტიკოსებმა და მებრძოლებმა, პროლეტარული პარტიის პირველმა ორგანიზატორებმა და მშენებლებმა — მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი ოცნებიდან კაცობრიობის უკეთეს მომავალზე აქციეს მეცნიერებად; მათს მთელს ცხოვრებასა და ბრძოლაში მოცემული იყო მეცნიერებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის კავშირი, თეორიისა და პრაქტიკის კავშირი.

1847 წელს მარქსმა და ენგელსმა შექმნეს „კომუნისტთა კავშირი“. 1848 წელს მათ გამოაქვეყნეს „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“. ამ დიად ისტორიულ დოკუმენტში გამოხატულება ჰპოვეს მთელი მოწინავე კაცობრიობის უგულითადესმა მისწრაფებებმა. იყო დიადი წიგნი, მაუწყებელი ნათელი მომავლისა, ეს იყო მოწოდება შეუპოვარი და გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ.



1848 წლის რევოლუციის ეპოქაში ენგელსი მარქსთან ერთად ეწეოდა უდიდეს ორგანიზაციულ, სააგიტაციო და პროპაგანდისტულ მუშაობას. ფრ. ენგელსი ამ რევოლუციის დროს პირადად იღებდა მონაწილეობას ბრძოლებში და იარაღით ხელში იბრძოდა აჯანყებულ მუშებთან ერთად.

მარქსი და ენგელსი მთელი თავიანთი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში დაუნდობლად ებრძოდნენ და ანადგურებდნენ ყველა ოპორტუნისტს, მუშათა კლასის ყველა მტერს. ფრ. ენგელსი მარქსთან ერთად იბრძოდა კომუნიზმის იდეების სიწმინდისათვის.

პირველი ინტერნაციონალის შიგნით მარქსსა და ენგელსს ბრძოლა უხდებოდათ წვრილ - ბურჟუაზიული და უტოპიური სოციალიზმის წინააღმდეგ, ისინი იბრძოდნენ პრუდონისტების, ბაკუნისტების და ლასალიანელების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მარქსი და ენგელსი იცავდნენ და განამტკიცებდნენ რევოლუციური მუშათა კლასის ერთად-ერთ სწორ მსოფლმხედველობას.

ფრ. ენგელსის საუცხოვო შრომები „ანტი-დიურინგი“, „ლუდვიგ ფეიერბახი“, „ბუნების დიალექტიკა“ და სხვ. განსაკუთრებული ბრწყინვალებით და სიძლიერით იცავენ და ანვითარებენ მეცნიერული სოციალიზმის თეორიას.

მარქსის სიკვდილის შემდეგ ენგელსი მარტო უძღვებოდა იმ მუშაობას, რომელსაც ისინი მანამდე ერთად ეწეოდნენ.

ფრ. ენგელსმა თავის წერილებში ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ მოგვცა სოციალისტური რეალიზმის მტკიცე პრინციპული საფუძვლები. ენგელსმა ბრძნული ანალიზი გაუკეთა კლასიკური რეალიზმის სახელოვანი წარმომადგენლების შემოქმედებას და ამრიგად განსაზღვრა მუშათა კლასის დადებითი დამოკიდებულება წარსულის იმ უმდიდრეს მემკვიდრეობისადმი, რომელიც შექმნა კაცობრიობამ მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

1895 წლის 5 აგვისტოს ფრ. ენგელსი გარდაიცვალა.

მარქსისა და ენგელსის დიადი მოძღვრება განავითარეს და უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს ახალ ისტორიულ ეპოქაში **ლენინმა** და **სტალინმა**.

მარქსიზმ - ლენინიზმის იდეები ბრწყინვალედ განხორციელდნენ ჩვენს სამშობლოში — სსრ კავშირში. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მოიპოვეს და დაიმკვიდრეს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება.

ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც შექმნეს და გამოაწრთეს **ლენინმა** და **სტალინმა**, ძლევამოსილად მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ახალი გამარჯვებებისაკენ, კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

ბალტიისპირა მხარის განთავისუფლებული ქვეყნები—ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ამაყად სდგანან საბჭოთა კავშირის დროშის ქვეშ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტვური პოემა სტალინზე

წითელმა არმიამ თავისი შესვლით ლიტვაში განთავისუფლება მარტო ლიტველ ხალხს როდი მოუტანა. მან აყვავება და თავისუფლება მოუტანა ლიტვურ ლიტერატურასაც.

მან ლიტვურ ლიტერატურას მოუტანა ახალი სახელი, სახელი, რომელიც თავზარსა სცემდა პლუტოკრატიის ცენზურას, სახელი, რომელსაც უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით, ჩურჩულით იხსენიებდნენ მშრომელნი. ეს სახელი სტალინია. როგორც მძლავრი რევოლუციური ქარიშხალი ჰქუხს დღეს მთელ ლიტვის მიწა-წყალზე დიდი სტალინის სახელი. დღეს ეს სახელი ყველას პირზე აკერია. მუშები, გლეხები, მოწინავე ინტელიგენცია და მთელი ლიტვის ხალხი, მადლობელი კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, იხსენიებს სტალინის სახელს, როგორც თავისუფლებისა და თავისი ბრწყინვალე მომავლის სიმბოლოს.

პირველად შედის სტალინის სახელი პატივით ლიტვის ახალ ლიტერატურაში.

ახალგაზრდა ლიტვის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა პოეტმა ქალმა სალომეა ნერისმა განთავისუფლების პირველ დღეების აღტყინებაში შექმნა „პოემა სტალინზე“. ეს დიდი პოემა განთავისუფლებული ლიტვის მთელ პრესაში დაბეჭდილია ყველაზე თვალსაჩინო ადგილას. იგი შექმნილ იქნა ნამდვილად ახალი, ბოლშევიკური ტემპებით — ერთ ღამეს.

მაგრამ ეს არ იყო ნაუცბათევი მუშაობა. ამას ამტკიცებს ის, თუ რა მკვიდრად და ღრმად შეიჭრა სტალინის სული ხელოვნებაში.

ეჭვგარეშეა, რომ პოეტმა ქალმა ერთ ღამეს გამოსთქვა ის, რასაც იგი ხანგრძლივი წლების განმავლობაში ატარებდა გულში.

ჯერ კიდევ 1931 წელს სალომეა ნერისი იკავებს პირველ პოზიციებს ლიტვის მოწინავე ლიტერატურაში. ამ პოზიციებთან იგი გაბედულად და აშკარად მივიდა. თითქოს ყუმბარა გასკდაო, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ლიტვის ბურჟუაზიის წრეებში სალომეა ნერისის დეკლარატიულმა გამოსვლამ, დაბეჭდილმა ჟურნალ „ტრეჩიას ფრონტაე“-ში („მესამე ფრონტი“). ამ გამოსვლით მან გასწყვიტა ყოველივე კავშირი ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან და კაპიტალისტთა საზოგადოებასთან და გადავიდა პროლეტარიატის მხარეზე.

ამჟამად სალომეა ნერისმა დასწერა „პოემა სტალინზე“, რომლითაც მან საძირკველი ჩაუყარა არა მარტო თავის, არამედ მთელი ლიტვის პოეზიას — საბჭოთა ეტაპის პოეზიას. თავისი ბუნებით სალომეა ნერისი ლირიკოსია და მთელი პოემა ლირიკულ ტონებშია მოცემული.

დიდი სტალინის პიროვნებას პოეტი ქალი მიუდგა ლიტველი ხალხის მომავლის თვალსაზრისით. რა უნახავს დღემდე ლიტველ ხალხს? — მხოლოდ მწუხარება და სიღატაკე, მხოლოდ დევნა და ტანჯვა. ასე იყო ძველის-ძველად, ფეოდალების დროს, ასე იყო მეფეების დროს, ასევე იყო ეგრეთწოდებულ დამოუკიდებელ ლიტვაში სადაც ხალხს სჩაგრავდა ბიუროკრატია და ახალი თავად-აზნაურობა.

ლიტველი ხალხის მონობის ნიმუშების ჩვენებით იწყება სალომეა ნერისის პოემა.

მწარე მოგონებებს, მწუხარებისა და დევნის თემას იმდენად დაეუფლა პოეტი ქალი, რომ პოემის დიდი ნაწილი მიეძღვნა შავბნელ წარსულს, ხოლო მცირე ნაწილი—მომავლის ნათელ სურათებს. სტალინის გმირულ ბიოგრაფიაშიც კი პოეტი ქალი მეტ ყურადღებას აქცევს ხალხთა ბელადის ყოფნას გადასახლებაში, შორეულ და ცივ ციმბირში. ეს ადგილი ყველაზე ძლიერი და წარმტაცია მთელს პოემაში.

სტალინის რევოლუციური ბრძოლა, მისი სიმამაცე გადასახლებაში ხელს უწყობდა ლიტველი ხალხის განთავისუფლების საქმესაც. ეს არის პოემის ძირითადი იდეა.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების სტალინურმა გამარჯვებამ შემდეგში განთავისუფლება მოუტანა ლიტველ ხალხს, — აი პოემის ბოლო აკორდი.

მთელი პოემა დაწერილია იმ სტილით, რომელიც სალომეა ნერისს სჩვევია: მასში გამოხმაურებას ჰპოვებენ ლიტვის სახალხო სიმღერები.

ლიტველი ხალხი უდიდესი სიხარულით წაიკითხავს და იმღერებს თავისი უნიჭიერესი პოეტი ქალის პირველ ნაწარმოებს ხალხთა და ერთა ბრძნულ განმათავისუფლებელზე.

სტალინის ძლიერი სახელი უდიდესი ზეიმით შედის ლიტვურ ლიტერატურაში და დარჩება იქ სამუდამოდ.

კოსტას კორსაკასი

მოსკოვი, 30 ივლისი. 1940 წ.

დიდებული ეპოსი

ჩვენს წინაშე, საბჭოთა ლიტვის დეპუტატების წინაშე ფართოდ გაიღო ძველი კრემლის უზარმაზარი კარები. წუთიც და ჩვენ სასახლის ფართო და წარმტაც პალატებში ვიქნებით, სადაც ყოველივე საუკუნეთა სიდიადით სუნთქავს.

იწყება ამაღელვებელი, საზეიმო და იმავე დროს ეპიურად წყნარი ისტორიული სხდომა.

მილიონების მიერ არჩეულ ასეულ ადამიანთა შორის, ჩვენ შორის არიან თვით სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი და მრავალი სხვა სახელოვანი და კეთილშობილი ადამიანი.

შენ გვერდით უეცრად ხედავ მეტად ნაცნობ სახეებს — პაპანინს, შმიდტს, ძალზე პოპულარულ ადამიანებს, სახალხო გმირებს. აქვე არიან სახელგანთქმული მწერლები —ა. ტოლსტოი, შოლოხოვი შორეულ დონიდან, უკრაინის, საქართველოს, ყაზახსტანის პოეტები და პროზაიკოსები... ყველანი ერთად, მხარდამხარ აკეთებენ ერთ დიად საქმეს — სჭედენ კაცობრიობის ბედნიერებას.

ჩვენს წინაშე იქმნება ცოცხალი, ყოველდღიური ლეგენდა. ჩვენს წინაშე იქმნება ახალი დიდებული ეპოსი.

უდიდეს სიხარულს, უსაზღვრო ბედნიერებას განმაცდევინებს ის აზრი, რომ ამ მომენტიდან ჩემი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაც სრულუფლებიანი შემომქმედია ამ დიადი, გასაოცარი ეპოსისა, რომ ამ მომენტიდან ჩემი მრავალტანჯული ხალხიც, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის თავისუფალ ხალხთა გვერდით, მიიღებს მონაწილეობას კომუნიზმის ბრწყინვალე შენობის აგებაში.

პეტრას ცვირკა

ლიტვის სახალხო სეიმის დეპუტატი, მწერალი.

ძმური სალამი

წითელი არმიის შემოსვლისთანავე ლატვიურმა მწერლობამ გადაიძრო მუხრუჭი, რომელიც ახჩობდა თავისუფალ და მართალ აზრს.

შეუძლებელია მოკლე საგაზეთო წერილში ჩამოვთვალოთ ყველა ის განსაცდელი, რომელიც თავს გადახდათ კულტურის ლატველ მოღვაწეებს ულმანისის მართველობის დროს. 1934 წლის 15 მაისის აჯანყების შემდეგ საზოგადოებრივ საქმეთა სამინისტრო ძალღონეს არ ზოგავდა ლიტერატურისა და საერთოდ ხელოვნების მოსასპობად. ამ სამინისტროს დაქირავებული ჰყავდა საგანგებოდ შეკრებილი კადრი დილეტანტებისა, რომელნიც სთხზავდნენ ჰიმნებს ულმანისისა და მისი დამქაშების პატივსაცემად. პლუტოკრატიული მთავრობა ცდილობდა ამ მკლაბნელთა ბლაგვი და უგემური პროდუქცია სანიმუშოდ გამოეცხადებინა მთელი ლატვიური ლიტერატურისათვის. ძალიან ფართოდ და დაურიდებლად ეწეოდნენ აგრეთვე მწერლებისა და გამომცემლობების დაშინებას წიგნების კონფისკაციით. მეორეს მხრით, მთავრობა მოქმედებდა მოსყიდვითა და მოქრთამით — უხვად აძლევდა სხვადასხვა პრემიასა და საჩუქარს შავრაზმელ ავტორებს უნიჭო, ლაქიური ნაწერებისათვის. მწერლისგან მოითხოვდნენ, თვალი დაეხუჭა საკუთარი ხალხის უბედურებაზე.

გაბატონებული კამარილიის დიდ პატივში იყო ცრუისტორიული რომანი, ნაციონალური ყოყოჩობით და მეზობელი ხალხებისადმი, განსაკუთრებით დიადი რუსი ხალხისადმი სიძულვილის გრძნობით გაჟღენთილი. ეს ცრუ და ფარისევლური მწერლობა უმღეროდა სოფლის შუა-საუკუნოებრივ ჩამორჩენილობას, მის ველურობასა და სიჩლუნგეს.

ლატველი ხალხის სიამაყის, დიდი პოეტი რაინისის ნაწერები ულმანისის დიქტატურის დროს აკრძალეს. რაინისის ნაწარმოებები მხოლოდ არალეგალურად ვრცელდებოდა. ულმანისის დამქაშები დიდის გულმოდგინებით იცავდნენ ლატვიურ ლიტერატურას უცხო ქვეყნების ცხოველმყოფელ გავლენისაგან. მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა, განსაკუთრებით, რუს კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებები ლატვიაში აკრძალული იყო. სამაგიეროდ დიდი პატივით სარგებლობდნენ თვით კარლის ულმანისის უნიჭო და უვიცური ნაწარმოებები. მის ძალზე საეჭვო პუბლიცისტიკას ლაქიები ლექსებად აცხადებდნენ, ულმანისის ნაწერების ტექსტზე „ბეჯითი“ კომპოზიტორები მუსიკას სწერდნენ. ამავე დროს კრიტიკა სრული დუმილით ხვდებოდა, მაგალითად, ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებს, როგორიც არის ანდრეი უპიტის „პირველი ღამე“.

ჩვენ სული გვიხუთებოდა სიცრუისა და უვიცობის მოშხამულ ჰაერში. ჩვენ თვალი მიპყრობილი გვქონდა აღმოსავლეთისაკენ, დიდ საბჭოთა მიწისაკენ, საიდანაც მოისმოდა თავისუფალი და მართალი სიტყვა.

ჩვენ არ ვიცოდით, დიდხანს დაგვჭირდებოდა თუ არა ლოდინი ამ თავისუფალი დღეებისა, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ეს დღეები აუცილებლად დაგვიდგებოდა, რომ ეს დღეებიც ცხრამთას იქით არ იყო. ამ გრძნობას არ მოვუტყუებივართ; ჩვენი ოცნება ახდა, და ლატველი მწერალი ცხოვრობს ახალ საბჭოთა ლატვიაში.

ჩვენ ვდგევართ აღორძინების წინაშე, ჩვენს წინ გადაშლილია ვრცელი ასპარეზი, ჩვენს წინ წამოჭრილია ახალი ამოცანები, ძნელი, დიდი, მაგრამ საპატიო ამოცანები. ძმური სალამი საბჭოთა მწერლების დიდ ოჯახს! ვეცდებით დაგეწიოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო! ძმურად, ამხანაგურად გავსწიოთ ერთად მთელი კაცობრიობის ნამდვილ სულიერ და სოციალურ თავისუფლებისაკენ.

ვილის ლაცისი.

ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრი.

შემოქმედება ხალხისათვის

ესტონეთის ხალხმა კვლავ ისწავლა სიცილი, სიხარული, სიმღერა. ჩვენი დედა-ქალაქის ქუჩებზე გაისმის თავისუფალი მშრომელი ადამიანის სიმღერა. მთელმა ჩვენმა ქვეყანამ თითქოს გამოიღვიძა ზამთრის ღრმა ძილისაგან.

ივნისის ამბებმა და ახლანდელმა დაუვიწყარმა დღეებმა ახალი გზა უჩვენეს ჩვენს კულტურას, რომელიც იქნება ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა ლიტერატურამ იწყო დაინტერესება წარსულით, იგი ისტორიამ გაიტაცა. ეს სავსებით ბუნებრივია. მწერლებს არ შეეძლოთ აშკარად ელაპარაკათ მაშინ დღევანდელი დღის, (აწ უკვე გუშინდელი დღის) გამოუვალ ერთფეროვნებაზე. მართალია ის, რომ ხშირად ისტორიული რომანები იწერებოდა უფლებამოსილთა შეკვეთით, მაგრამ ასეთი ნაწარმოებები უფრო „ისტერიული“ რომანების სახელს იმსახურებდნენ. ეს იყო გაშიშვლებული შოვინიზმის აშკარა ქადაგება.

ეხლა ესტონელი ხალხი ცეცხლის ასოებით სწერს თავის ნამდვილ ისტორიულ რომანს, რომლის სახელია „ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“.

ეს არის შემოქმედება ხალხისა, მარადიული და უძირო წყარო ჩვენი მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების შთაგონებისათვის.

რევოლუციურ მწერლებს არ ეძინათ, ისინი განაგრძობდნენ მუშაობას ძველი დამპალი რეჟიმის დროსაც, თითქოს ემზადებოდნენ ახლანდელი კულტურული მუშაობისათვის. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ ახალი მთავრობის შემადგენლობაში, სახელმწიფო სათათბიროს შემადგენლობაში მრავალი მწერალი შევიდა. მწერლები მუშაობენ ჩვენი ქვეყნის სამინისტროებშიაც და დიდ დაწესებულებებშიაც.

ჩვენ, რევოლუციურ მწერლებს, არ გვიბეჭდავდნენ არაფერს, ჩვენს ნაწარმოებს დუმილით ხვდებოდნენ. კრიტიკას ნაბრძანები ჰქონდა, ჩვენს შესახებ კრინტი არ დაეძრა, ხოლო რადიოგადაცემას „ურჩევდნენ“, არ გადაეცა მოსასმენად ჩვენი ნაწარმოები.

ეხლა ჩვენ წინ გადაშლილია შემოქმედებისა და აღმშენებლობითი მუშაობის ახალი გზა.

ეხლა ჩვენ ვიწყებთ სახელმწიფოსა და ლიტერატურის შექმნას, ჩვენ ვიწყებთ შემოქმედებას ხალხისათვის.

იოჰანეს ვარესი (ბარბარუსი)

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელი.

ვაჟა-ფშაველა და ევროპული ხალხური ეპოსი *

რ. მილერ-ბუდნიცკაია

როცა ქართველ პოეტს ვაჟა-ფშაველას ჰკითხულობთ, პირველი, რაც გიპყრობთ, არის მის ნაწარმოებებში გამოსახული სამყაროს ღრმა სიძველე.

მეორე თავისებურება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა გახლავთ ჰარმონია ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის, მწერლის პირადი და შემოქმედებითი ბიოგრაფიის შორის, ჰარმონია, რომლის მსგავსი იშვიათია მსოფლიო ლიტერატურაში.

ადამიანი და მხატვარი ვაჟა-ფშაველა იყო თანასწორი თანასწორთა შორის; იგი ისეთივე იყო, როგორნიც არიან მის მიერ შექმნილი გმირული სახეები: შვილი პირველყოფილი თემისა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება აღმოცენებულია ისეთსავე ნიადაგზე, როგორზედაც აღმოცენდა ადრინდელი შუასაუკუნეების მთელი ევროპული ეპოსი. იგი გამსჭვალულია გერმანული და სკანდინავიური ეპიური პოემების სულისკვეთებით, მასში მოისმის მომთაბარე ხალხთა მოტივები, ეს მოტივები შემდეგში საერთო-საკაცობრიო და მშობლიურნი გახდნენ ყველა იმ ხალხისთვის, რომელმაც იგივე ისტორიული საფეხური გაიარა. ოდესღაც ეს მოტივები გმირული ეპოსის ქსოვილს შეადგენდნენ, ეხლა კი ისინი გავრცელებული არიან ზღაპრებისა და ხალხური გადმოცემების სახით, მაგრამ, თვით ვაჟა-ფშაველას აზრით, ეს მარადიული სიუჟეტები გადადნობილ უნდა იქნან ინდივიდუალური პოეტური შემოქმედების ქურაში.

ვაჟა-ფშაველას პოემები მოიცავენ სათემო გვაროვნული წყობილებიდან ნაადრევ ფეოდალიზმზე გადასვლის ხანას, გვიანი ბარბაროსობისა და ცივილიზაციის ჩანასახებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს. ვაჟა-ფშაველას საუკეთესო ნაწარმოებნი გვიჩვენებენ ძველი ცივილიზაციის საშინელებას—ადამიანის მოწყვეტას ბუნებისაგან, ისინი გვიხატავენ პირველყოფილ ბარბაროსობას, როგორც დაკარგულ სამოთხეს, როგორც კაცობრიობის ოქროს საუკუნეს და მსოფლიო ისტორიის მწვერვალს.

გველის-მჭამელი მინდია ოსტატურად გაპოეტურებული სახეა პირველყოფილი ადამიანისა, „რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაუჭრია დედაბუნებასთან შემაერთებელი ჭიპი და არ გაუწყვეტია ცოცხალი კავშირი ბუნებასთან“ (ჰეგელი). მინდია თემის სულიერი ბელადია, იმავე დროს იგი სარდალიც არის, მკურნალიც, ქურუმიც და თავისი ტომის მომღერალიც. იგი ჰფლობს პირველყოფილ სიბრძნეს. მას უწოვია ძუძუ მთებისა და უგემია სისხლი გველისა. მისთვის გასაგებია მხეცთა და ფრინველთა, ხეთა და ქვათა ენა, მაგრამ მიცემული აღთქმის დარღვევისათვის, თავისი კერის გასათბობად ხეების მოჭრისათვის, ოჯახის გამოსაკვებად ჯიხვის მოკვლისათვის მინდია ჰკარგავს მიმადლებულ ნიჭს და იგიც ჩვეულებრივ ადამიანად იქცევა. სულიერად დაბრმავებულ ბრძენ მინდიას მიჰყავს ლაშქარი შემოსეული მტრის დასახვედრად, მაგრამ იგი თავადაც იღუპება და ლაშქარსაც ღუპავს, მინდია თავს იკლავს, რაკი ცხადი გახდება მისთვის წინანდელი სიბრძნისა და ძალის დაკარგვა. მინდიას სულიერად ენათესავებიან ვაჟა-ფშაველას სხვა გმირებიც—მთვარელი, ლუხუმი, კვირია, ესენიც ტყვედ უვარდებიან ბოროტ ძალებს, ესენიც ებრძვიან მათ და იძენენ ჯადოსნურ სიბრძნეს, იგემებენ რა გველის ან გველეშაპის სისხლს.

გველთან შებმისა და გველისჭამიობის მოტივი ერთ-ერთი ძალზე გავრცელებული მოტივია დასავლეთ ევროპის გმირულ ეპოსში. გველებთან და გველეშაპებთან მებრძოლ რაინდთა სახეები სკანდინავიური საგების გმირები არიან: სიგმუნდი და სიგურდი, გერმანელი ზიგფრიდი, ანგლოსაქსი ბეოვულფი, ფრანკი ვოლფდიტრიხი, დანიელი ფროდი, ნორვეგიელი რაგნარ ლოდბროკი, ისლანდიელი გულლ-ტორი და ბევრი სხვა. „ნიბელუნგებში“ ზიგფრიდი სვამს მის მიერ მოკლული გველეშაპის სისხლს და, განიბანს რა სხეულს მის სისხლში, ხდება შეულახავი და შეუბღალავი მტრის მიერ. უფრო მიაგავს ხევსურ მინდიას სიგურდი, გველეშაპ ფაფნის მძლეველი სიგურდი. მინდიას მსგავსად, ისიც ბრძენი მისანი ხდება, ფრინველთა ენის მცოდნე, მომავლის გამომცნობი, თავისი ხალხის ქურუმი, მკურნალი და მომღერალი.

გველთა და გველეშაპთა მძლეველ ამ გოლიათების სახით ეპოსი ადიდებს ნახევრად ღვთაებრივი წარმოშობის თავის ნაციონალურ გმირებს. ეს გმირები იყვნენ ტომთა ლეგენდარული მამათმთავრები, სარდლები, რომელნიც აფართოვებდნენ ტომის ტერიტორიას, კანონმდებლები, რომლებიც ჰქმნიდნენ და აწესებდნენ პირველ სოციალურ კოდექსს, კოლონიზატორები, რომლებიც თავიანთი ტომის ხალხს ასახლებდნენ ახლად აღმოჩენილ უცხო მიწებზე. ამ ადამიანების სახით, რომლებმაც თითქოს თავიანთ ტომებს ასწავლეს მიწის დამუშავება და მესაქონლეობა, რომლებმაც თითქოს გასჭედეს პირველი იარაღი და აგეს პირველი იალქანი, მოცემულია თვით ხალხი შრომასა და ბრძოლაში.

ვაჟა-ფშაველა „გველისმჭამელში“ იცავს ხალხური ეპოსის სიმბოლიკას: გვიხატავს ადამიანსა და ბუნებას ბარბაროსული დროიდან ცივილიზაციის საფეხურზე გადასვლისას. პოეტი დარდობს იმ ჰარმონიის დაკარგვის გამო, რომელიც მაშინ არსებობდა ადამიანსა და სამყაროს შორის, პოეტი მოუწოდებს ყველას, ბუნება დაიცვას ადამიანის ხელყოფისაგან, პოეტი მისტირის იმ დროინდელ კაცობრიობას, რომელმაც, ფეხი შედგა რა ცივილიზაციის საფეხურზე, დაჰკარგა პირველყოფილი სიბრძნე. ხევსურ მინდიათი ვაჟა-ფშაველა წარმოგვიესახავს ხალხს, ენის შემქმნელსა და მითოსის შემომქმედს, ჰქმნის გრანდიოზულ სიმბოლოს, რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ფილოსოფიის და პოეტიკის შთამაგონებელია.

ასეთივე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ვაჟას პოემა „ეთერი“. ეთერი პირველყოფილი ქალწულია, ქურციკივით კლდეებში გაზრდილი, ადამიანის სახის უნახავი, ნადირის ტყავით შემოსილი, გაშლილი თმით, —ქალწული, რომელსაც შიშველ მიწაზე სძინავს და ტანზე ფოთლები და ლელი ახურია; იგი შვილია ბუნებისა, იგი ღვთაებრივი წარმოშობისაა, იგი ბრძენი და მისანია. მისი ცრემლები, წვიმის წვეთებივით მიწაზე დაღვრილი, ზრდიან ბალახსა და ყვავილებს, მისი ერთი შეხებით ხე ფოთოლს ისხამს და ჯოგი მრავლდება. როცა იგი მთებსა სტოვებს, ტყეში ფოთოლი ცვენას იწყებს, მიწა ხმება და ქვად იქცევა, მტაცებელი ნადირი სპობს საქონელს. როცა იგი ბარად ჩამოდის, რომ მეფისწულის ცოლი გახდეს, ეთერი ჰკარგავს თავის ღვთაებრიობას, ხდება უბრალო მოკვდავად, დაავადდება განუკურნავი სენით. თქმულება ეთერზე—ტრისტანისა და იზოლდას ეპიური მოტივის ქართული ვერსია, ვაჟა-ფშაველას მიერ დამუშავებული, ყველაზე უფრო უახლოვდება ამ რაინდული რომანის უძველეს კელტურ პროტოტიპს — ირლანდიურ საგს კეთილ ბაილსა და აილენზე, აქაც გმირები ერთმანეთის სიყვარულში იღუპებიან; როგორც გოდერძისა და ეთერის საფლავზე იები და ვარდები ერთმანეთს გადახვევიან, ისე ირლანდიელ შეყვარებულთა სამარეზე ამოსულან ურთხმელა, რომლის წვერო ბაილის თავს ჰგავს, და ვაშლის ხე, რომლის წვერო აილენის თავს მოგვაგონებს.

ირლანდიური საგების და ვაჟა-ფშაველას პოემების საერთო ძირითადი მოტივი გახლავთ გმირთა ურთიერთი სიყვარული ან ნახევრად ქალღმერთის კავშირი მოკვდავ ადამიანთან,—კავშირი, რომელიც თავდება იმით, რომ ქალღმერთი ჰკარგავს თავის ღვთაებრიობას. ეთერის კელტი დები არიან ფერიები და სიდები, რომლებიც ჰკურნავენ ადამიანს სიყვარულისაგან ან ჰკლავენ მას ტრფიალების ჯადოთი. ეს კელტური საგები სიდის სიყვარულზე მოკვდავისადმი გაჩნდნენ ირლანდიელი ხალხის გაქრისტიანების ეპოქაში და ამიტომ მჭიდროდ დაკავშირებული არიან ქრისტიანობის ისტორიასთან ირლანდიაში, წარმართული კელტური რელიგიის დევნასთან, ახალი ქრისტიანული რელიგიის მიერ წარმართობის გაძევების ფაქტთან. ეს საგები ატარებენ იმ ბრძოლის დაღს, რომელსაც ქრისტიანული ეკლესია აწარმოებდა ძველი ანიმისტური მორწმუნეობის წინააღმდეგ. ვაჟა-ფშაველას პოემა „ეთერი“ შექმნილია ნახევრად წარმართ ხალხში, რომელიც ქრისტიანობას მხოლოდ ფორმალურად აღიარებს. ამიტომ მასში უფრო აშკარად, ვიდრე დასავლეთ ევროპულ ეპოსში, მოსჩანს ხალხური ლეგენდის უძველესი მითოლოგიური საფუძველი, მასში უფრო მეტად მოისმის ქვეყნის წარმოშობაზე, კოსმიურ სტიქიონთა ბრძოლასა და ურთიერთ მიდრეკილებაზე არსებულ კოსმოგონიურ თქმულებათა შორეული გამოძახილი. ეთერი მიწისა და წყალის, მთვარისა და ცის ღმერთქალია, რომელიც შავეთში სცხოვრობს და მწყემსავს ცის ღრუბელთა ჯოგს. მეფისწული მზის შვილია, ეთერისა და მეფისწულის სიყვარულს თან სდევენ სტიქიური მოვლენები, მათ პირველ შეხვედრას თან სდევს გაზაფხულის მოსვლა შუა ზამთარში ჭექა-ქუხილით და ნიაღვრით, მათ სიკვდილს—მზისა და მთვარის დაბნელება, გვალვა და უნაყოფობა მთელს მხარეში. როგორც კელტი სიდის სახით მოცემულია გაპოეტურებული ირლანდია, ასე ეთერის სახით წარმოდგენილია ფშავ-ხევსურეთი, მივიწყებული და მიყრუებული კუთხე, რომელსაც ძალასა და სიბრძნეს აძლევს პირველყოფილი სიახლოვე ბუნებასთან, ეთერი ქართველი მეფის კარზე, ეთერი, რომელიც ოქრომკედით ნაქარგ ტანისამოსს ქვეშ მალავს მომაკვდინებელ სნეულებას, გახლავთ სიმბოლო მწყემსების ღატაკი კუთხისა, რომელიც საერთო ქართულ ფეოდალურ მონარქიასთან ვასალურ დამოკიდებულების წრეში შესულა და ამით თავისი დამოუკიდებლობა დაუკარგავს.

მაგრამ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ძირითადი ტრაგიკული კოლიზია არის არა ადამიანი და ბუნება, არამედ ადამიანი და თემი, გზას აცდენილი შვილი თემისა, შვილი, რომელიც თემს აჯანყებია. ეს ბრძოლა სწარმოებს გვაროვნული თემის არა დანგრევისათვის, არამედ სრულყოფისათვის. გმირები იბრძვიან თავიანთი ტომის სისასტიკეს და გადაგვარებას, მის ყაჩაღურ პოლიტიკას, მის ველურ ნაშთებს და ცრუ რწმენას, მახინჯ ტომობრივ და რელიგიურ შურს. ბარბაროსობის ორი პერიოდის, აყვავებისა და დაცემის პერიოდის ურთიერთ ბრძოლაში ვაჟა-ფშაველას გმირები რაინდულად იცავენ იმ ეთიურ და სოციალურ ღირებულებას, რომელიც ჩასახული იყო უკლასო საზოგადოებაში.

მაგრამ ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველას შემოქმედება დასავლეთ ევროპული გმირული ეპოსის წრეში შედის პოემა „ბახტრიონით“. აქ პოეტს ნაპოვნი აქვს მთელი შუასაუკუნეების დიდი ეპიური თემა, რომელიც საფუძვლად უდევს „როლანდის სიმღერას“, ტასოს, არიოსტოს და კამოენსის პოემებს. ეს თემაა ფეოდალური ევროპის ქრისტიანული სამყაროს ძლევამოსილი ბრძოლა მომთაბარე მუსულმანთა წარმართულ ურდოებთან. ანტიური ქვეყნისა და შუა-საუკუნეების უდიდესი ეპიური ნაწარმოებნი გამოხატავენ ბრძოლას ახალი მსოფლიო წყობის დაბადებისათვის, ხალხთა კავშირის შექმნისათვის, ახალ, უფრო მაღალ ისტორიულ საფუძველზე. ასე, მაგალითად, სრულყოფილი ფორმით „ილიადასა“ და „ოდისეიაში“ მოცემულია ანტიური საზოგადოების ბრძოლა შუა აზიის აღმოსავლური დესპოტიის წინააღმდეგ. ამ პოემების თემაა განცალკევებულ, გაფანტულ ბერძნულ ტომთა შეკავშირება, შემჭიდროება ერთიან ელინურ სამყაროდ. შუასაუკუნეების ევროპულ ეპოსში გამოსახულია გერმანელ ტომთა თემობრივ - გვაროვნული წყობილების დაშლა, საერთო ევროპული ფეოდალური სისტემის წარმოშობა, ეროვნულ სახელმწიფოების, ხოლო უფრო მოგვიანებით, რომის წმინდა იმპერიის შექმნა. ამათ მსგავსად, ვაჟა-ფშაველას პოემები წარმოგვიესახავენ კავკასიელი მთიელების, ფშავების, ხევსურების, თუშების, ქისტების თემობრივ-გვაროვნულ წყობილების დაშლას, საქართველოს ტომთა და ხალხთა ერთ მთლიან ეროვნებად შეკავშირებას და საერთო ქართული კულტურის წარმოშობას თათრებთან და თურქებთან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში. ვაჟას პოემები გამსჭვალულია იმავე იდეით, როგორითაც ანტიური და შუასაუკუნეების ეპოსი — დასავლეთევროპული სამყაროს გამარჯვების იდეით. ჰეგელის სიტყვით, ეს არის დასავლეთის ტრიუმფი აღმოსავლეთზე.

საქართველოს დიდი სახალხო პოეტები შოთა რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა სცილდებიან ქართული ნაციონალური კულტურის ფარგლებს და შედიან ზოგად-ევროპული, მსოფლიო ეპიური ხელოვნების თემების, სახეებისა და იდეების წრეში.

შოთა რუსთაველს შეიძლება უწოდოთ შუა-საუკუნეების ევროპის პირველი ეპიური პოეტი, რომელმაც მას რამდენიმე საუკუნით დაასწრო. შოთა რუსთაველის შემოქმედებაში, რომელიც აღმოცენდა მე-12 და მე-13 საუკუნეების მიჯნაზე, როცა ევროპული მსოფლიო ჯერ კიდევ შუა-საუკუნეების ბარბაროსობის წყვდიადში იყო გახვეული, შეერთდა მუსულმანური აღმოსავლეთის არაბულ-ირანული კულტურის ოქროს საუკუნის დაისი და პირველი სხივები ევროპული რენესანსის განთიადისა. რუსთაველმა პირველმა შეიტანა შუა-საუკუნეების გმირულ ეპოსში ანტიური ხელოვნებისა და ფილოსოფიის აღორძინების ნაკადი.

შუა-საუკუნეების ეკლესიურ აზროვნებას მან დაუპირისპირა კლასიკური ანტიური ფილოსოფია, ათვისებული წარმართ ნეოპლატონიკოსებისა და მუსულმან სუფისტების საშუალებით. რუსთაველის გარშემო დაირაზმა პლეადა მგოსნებისა, სწავლულებისა, ფილოსოფოსებისა, რომელთაც მაღლა აღმართეს ქართული რენესანსის დროშა. ის იყო აღორძინების ეპოქის ახალი კაცობრიობის მომღერალი და ჰუმანისტი, რომელიც აღიზარდა შუა საუკუნეების ორი დიდი ლიტერატურის — სპარსული და არაბული ლიტერატურის ნიადაგზე.

ხოლო ვაჟა-ფშაველას ბედმა არგუნა ყოფილიყო მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე ევროპის უკანასკნელი ეპიური პოეტი. მის შემოქმედებაში ერთხელ კიდევ აენთო ბრწყინვალე ვარსკვლავად ევროპის შუა-საუკუნეების ლეგენდარული სამყარო, მის პოემებში კვლავ აღდგა გადასული ქვეყანა შუა-საუკუნეების ჰერალდიკის ფიგურებსა, კონტურებსა და ფერებში. ვაჟამ კვლავ აღადგინა მთქმელთა და სახალხო მომღერალთა რიტმიული მეტყველება, კვლავ გაგვაგონა ეპიური ლექსის დაბადების დროინდელი სკანდინავიური სკალდებისა და კელტური ფილიდების წარმტაცი ენა.

---

*) ერთი თავი კრიტიკული ნარკვევიდან: „ვაჟა-ფშაველა“.

აზერბაიჯანული ლიტერატურის დეკადა მოსკოვში

[illegible]

ლერჯა

([illegible])

[illegible]

თარგმანი ქ. ჭიჭინაძისა

რუსთაველის თეატრის ახალი სპექტაკლი

ს. კლდიაშვილის „[illegible]", დადგმა რეჟ. დ. ალექსიძისა

[illegible]



ს. კლდიაშვილის [illegible]

[illegible]

მაყურებელი

ალექსანდრე აბაშელი

ესკიზური პორტრეტი *

კონსტანტინე გამსახურდია

[illegible]

---

* [illegible]



„პატარა კახის“ ილუსტრაცია. („ფედერაციის“ გამოცემიდან).
ნახ. შ. ბერიტაშვილის.

აკაკი უკრაინულ ენაზე

აკაკის მომჯადოებელი ჰანგები უკრაინულ ენაზედაც გაისმა. უკრაინის საბჭოთა საზოგადოებას, ფართო მასას, მოსწავლე ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცა უშუალოდ გაეცნოს ქართული მხატვრული სიტყვის ერთ-ერთ სიამაყეს—აკაკის: სწორედ აკაკის საიუბილეო დღეებში გამოვიდა კიევში უკრაინულ ენაზე ჩვენი პოეტის „რჩეული ნაწერები“.

დიდის სიყვარულით არის შედგენილი და გამოცემული ეს წიგნი. მას, უპირველეს ყოვლისა, ამშვენებს ლევან ასათიანის კარგი შესავალი წერილი აკაკის შემოქმედებაზე. მეტად საყურადღებოა წერილში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც შეეხებიან უკრაინელი და ქართველი ხალხის წარსულ კულტურულ ურთიერთობას, კერძოდ აკაკის მიერ ტარას შევჩენკოს გაცნობას და მის მოგონებას უკრაინელ პოეტზე.

მთარგმნელები ძალიან ცდილან თარგმანისათვის შეენარჩუნებინათ დედნის სიცხოველე, ალმაფრენა, კეთილხმოვანება: მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ გამონაკლისს გარდა (ენის თავისებურებასთან დაკავშირებით ყველაფრის დაძლევა თარგმანში შეუძლებელი იყო) მათ თავიანთი მიზნისათვის მიუღწევიათ.

თარგმანი ზუსტია. დაცულია რითმების წყობა და ლექსის ზომა. მივმართოთ მაგალითებს. აკაკის „საიდუმლო ბარათში“, მაგ. ყოველ სტროფში სამი სტრიქონი ერითმება ერთმანეთს, ასევეა უკრაინულად. აი პირველი სტროფი:

„Тайний лист, її одвіт!
Ти приніс мені привіт,
Як утіхи світлий дар,
Як від суму вірний щит“...

(მ. ბაჟანის თარგმანი).

უკრაინელი პოეტები ცდილან დაეცვათ დედნის ზომა და აზრის სიზუსტე, ცხადია, არა მექანიკურად. ზოგან აუცილებელი იყო აზრების გაშლა, პერიფრაზი, მაგრამ ასეთ შემთხვევებში დაცულია ზომიერება და სიფრთხილე. მთლიანი შთაბეჭდილება ლექსს შენარჩუნებული აქვს. იგი ახლო წარმოდგენას აძლევს უკრაინელ მკითხველს აკაკის ლექსის წყობაზე, მის იდეასა და სიტყვიერ მასალაზე. ენის შესაძლებლობის ფარგლებში დაცულია აკაკის ლექსის დიდი სიმარტივეც. სიტყვების რაოდენობაც კი ძალიან უახლოვდება დედანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაცვალსახელებსა და, განსაკუთრებით, თანდებულებს, რომლებიც, ქართულისაგან განსხვავებით, სლავურ ენებში და მათ შორის უკრაინულშიც, ცალკე იწერება და ზრდის სიტყვების რიცხვს სტრიქონში.

ავიღოთ „მუშური“ („სიმინდსა თოხნა დავუწყოთ“). ცხადია, როგორც დედანში, უკრაინულშიაც მეორე და მეოთხე სტრიქონი ერითმება ერთმანეთს. ამასთან, მაგ., აკაკის პირველი სტროფი 13 სიტყვისაგან შესდგება. სწორედ ამდენივე სიტყვაა უკრაინულ პირველ ტაეპში, თუ თანდებულებს არ ჩავთვლით:

будем сапать кукурудзу
з дружною піснею в полі;
Може тоді ми забудем
Нашу селянську недолю“.

(ს. კრუიჟანოვსკის თარგმანი).

ასეთი მაგალითი წიგნში ბლომად გვხვდება.

ლექსებში ყველგან დატოვებულია ის სპეციფიური სიტყვები, რომლების თარგმანს დედანს უახლოვებს. ზოგან კი თარგმანში მთელი გამოთქმებია დატოვებული, მაგ., „იმერულ ნანინა“-ში, სიტყვები—იავნანა, იავ-ნანინაო—უცვლელადაა დატოვებული.

საერთოდ, დიდის ოსტატობით არის თარგმნილი აკაკის 48 ლირიკული ლექსი, რომლებიც ხსენებულ კრებულშია მოთავსებული. ასეთივე ოსტატობით არის თარგმნილი აკაკის პოემები: „თორნიკე ერისთავი“ (ლიუბომირ დმიტერკოს მიერ), „გამზრდელი“ (ლ. პერვომაისკის მიერ) და „ნათელა“ (მიკოლა ბაჟანის მიერ).

უნდა აღვნიშნოთ ერთი გადაულახავი სიძნელე, ეს არის აკაკის ზმები „თორნიკე ერისთავში“ („მაღლით წვიმა მოდიოდა“, „ხუმარადაც ვარგებულხარ“). ეს ადგილები დმიტერკოს ვერ უთარგმნია ისე, რომ უკრაინულადაც ზმა გამოსულიყო. ცხადია, ამით დედნის ამ ადგილის სიმახვილე, სამწუხაროდ, გაქარწყლებულია, თუმცა მდგომარეობა რამდენიმედ იცვლება მთარგმნელის მიერ მიწერილი შენიშვნით, რომელიც მკითხველს აცნობს აკაკის პოემაში ჩართული ზმების შინაარსს.

აკაკის „ბაში-აჩუკი“, მხატვრული პროზის ეს იშვიათი ნიმუში, დიდის ყურადღებით და გემოვნებით უთარგმნია უკრაინულად მწერალს ა. ლიუბჩენკოს. თარგმანში მიღწეულია უაღრესი სიზუსტე, სიმარტივე და ლაკონიურობა.

კრებულის საერთო რედაქცია მიკოლა ბაჟანს ეკუთვნის.

იასამანი



„ბაში-აჩუკის“ ილუსტრაცია („ფედერაციის“ გამოცემიდან).
ნახ. შ. ბერიტაშვილის.

ვაჟა-ფშაველას საღამო მწერალთა კლუბში

9 აგვისტოს დიდი პოეტის ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 25 წლისთავის აღსანიშნავად გამართულმა საღამომ მწერალთა კლუბში დიდძალი საზოგადოება მიიზიდა.

თავის შესავალ სიტყვაში ირაკლი აბაშიძემ ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი პოპულარობა და ღრმა დაფასება, რომელიც წილადა ხვდა ვაჟას პოეტურ მემკვიდრეობას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. ლენინ-სტალინის პარტიის მიერ ყველა ხალხის წარსული კულტურის შესასწავლად მიღებულმა ღონისძიებებმა, ფართო მასების არნახულმა კულტურულმა აღმავლობამ და ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ შექმნეს მტკიცე ნიადაგი ღრმა ინტერესისათვის ისეთი დიდი კულტურული ძეგლებისადმი, როგორიც არის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაო.

საფუძვლიანად დამუშავებული ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სიმონ ჩიქოვანი, რომელმაც ვაჟა დაახასიათა, როგორც უაღრესად თავისებური პოეტი, როგორც გარკვეული საზოგადოების ფორმაციის ამსახველი ერთერთი უდიდესი ეპიკოსი მსოფლიო ლიტერატურაში.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის თავისებურებაზე, მის მიერ ბუნების ღრმა შეგრძნობაზე, ბუნების მოვლენებთან ინტიმური განცდის და ასახვის დიდ მხატვრულ უნარზე, შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა პროფ. კონსტანტინე კაპანელმა.

ინტერესით მოისმინა აუდიტორიამ ვანო წულუკიძის სიტყვა, რომელიც შეიცავდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ რუსულ პერიოდულ პრესაში უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ კრიტიკულ-მეცნიერულ შრომების მიმოხილვას.

საღამოს მეორე განყოფილებაში ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ილო მოსაშვილმა, კარლო კალაძემ, ვასო გორგაძემ, ანდრო თევზაძემ და სომეხმა პოეტმა გრიგმა. ვაჟას ორი ლექსის საკუთარი რუსული თარგმანი წაიკითხა ბორის სერებრიაკოვმა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტ მიქელ პატარიძის მიერ ფშავურ კილოზე წარმოთქმულმა ვაჟას შესანიშნავმა ლექსმა „გიგიმ“. აუდიტორიამ პოეტები მქუხარე ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ახალი წიგნები

მაიაკოვსკის პირველი ლიტერატურული ბიოგრაფია

რუსეთის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ვ. პერცოვის წიგნი „ჩვენი თანამედროვე“. ეს წიგნი ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო პოეტის ვლ. მაიაკოვსკის პირველი ლიტერატურული ბიოგრაფიაა.

ამ ბიოგრაფიის შესადგენად ვ. პერცოვმა გამოიყენა არა მარტო პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებული მასალა—მისი ხელნაწერები, ნაწერების პირველი ბეჭდვური ტექსტები, საჟურნალო და საარქივო მასალა, არამედ იმ ადამიანთა მოგონებები და ნაამბობი, რომელნიც პოეტს ხვდებოდნენ როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ნიზამის ლირიკა

გამომცემლობა „მხატვრული ლიტერატურა“ სცემს ნიზამის ლირიკას. ეს არის პირველი საიუბილეო გამოცემა.

კრებულისათვის მასალად გამოიყენეს შემდეგი წყაროები: 1) ი. მარის მიერ 1924 წელს შეკრებილი და გამოცემული ნიზამის ლირიკულ ნაწარმოებთა ფრაგმენტები. ეს მასალა მარმა ამოკრიფა ჩვენს ბიბლიოთეკებში არსებულ სხვადასხვა პოეტურ ანთოლოგიიდან. 2) ცნობილი ირანელი პოეტის ვახიდ დესლირიდის მიერ ხელნაწერ კრებულებიდან ამოკრეფილი და ჟურნალ „საჩუქარში“ დაბეჭდილი სატრფიალო გაზელები და, ბოლოს, 3) აღმოსავლეთის მცოდნის, ჩეხ ი. რიშკეს მიერ 1935 წ. გამოცემული ნიზამის 25 გაზელი, რომლებიც მან აღმოაჩინა სტამბოლის აია-სოფიას ბიბლიოთეკაში არსებულ მე-14 საუკუნის ხელნაწერ კრებულში.

ნიზამის ლირიკის კრებულში შესულია სატრფიალო გაზელები, მისი ლირიკული ნაწარმოებების ცალკეული ფრაგმენტები და ფილოსოფიური კასიდები.

კრებულში მოთავსებული ნიზამის ლირიკული ნაწერები თარგმნილია პ. ანტოკოლსკის, მ. დოლმატოვსკის, ა. შაროვის, ა. კოჩეტკოვის, კ. ლიპსკეროვის, ა. ტარკოვსკის, ნ. ტარლოვსკის და ს. შერვინსკის მიერ.

აკაკის თხზულებათა მეორე ტომი

დამზადდა დასაბეჭდად აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მეორე ტომი, რომელიც გამოდის პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით. წიგნში შეტანილია 390 ლექსი, მათ შორის 150 ლექსი პირველად გამოქვეყნდება.

წიგნს დართული ექნება პ. ინგოროყვას მიერ შედგენილი დაწვრილებითი კომენტარიები. წიგნში 50 ნაბეჭდი თაბახი იქნება და გამოვა სექტემბერში.

ხუნანის ფლეიტა

სახელმწიფო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ჩინელ პოეტის ემი სიაოს ლექსთა კრებული—„ხუნანის ფლეიტა“.

წიგნში მოთავსებული ლექსების ძირითად თემას შეადგენს ჩინელი ხალხის გმირული ბრძოლა თავის დამოუკიდებლობისათვის.

ლექსების თარგმანი ეკუთვნის ა. რომმს.

საზღვარგარეთ

„სამშობლოს შვილი“

ამერიკის გამოჩენილმა ზანგმა მწერალმა რიჩარდ რაიტმა, რომლის პირველი წიგნი „ძია თომას ბავშვები“ პრემირებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში და რომელიც გადმოთარგმნილია რუსულ ენაზე, დასწერა რომანი „სამშობლოს შვილი“. ნიუ-იორკის კლუბმა ეს ნაწარმოები შეარჩია, როგორც საუკეთესო რომანი და რეკომენდაცია გაუკეთა მკითხველთა წინაშე. აღნიშნული კლუბი ყოველთვიურად შეარჩევს და რეკომენდაციას უკეთებს ხოლმე ახალ ღირსშესანიშნავ ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

ა. კრონინის ახალი რომანი

ამ უკანასკნელ ხანებში დიდი პოპულარობა მოიპოვა ინგლისელმა მწერალმა ა. კრონინმა. იგი პროფესიით ექიმია, არის ავტორი რამდენიმე რომანისა. მისი ორი რომანი—„ბროუდის კოშკი“ და „ვარსკვლავები ძირს იცქირებიან“ თარგმნილია რუსულ ენაზე.

ა. კრონინმა ახლახან დასწერა რომანი — „ექიმი ლენნოქსიდან“. ეს რომანი კრონინმა გადაამუშავა თავისივე სცენარიდან, რომელსაც იგივე სახელწოდება აქვს. კრონინის სცენარის მიხედვით ფილმი უკვე დაიდგა და მიდის ამერიკის შეერთებული შტატების კინო-ეკრანზე.

მარკ ტვენის გამოუქვეყნებელი წერილები

1880 წელს თორმეტი წლის ამერიკელმა მოწაფემ დ. ბოსერმა გაუგზავნა მარკ ტვენს თავისი მორიგი სასკოლო ნამუშევარი. ამ დროს მარკ ტვენი უკვე სარგებლობდა ბავშვების განსაკუთრებული სიყვარულით „ტომ სოიერის თავგადასავლის“ გამო. მწერალმა მოსწავლეს ვრცელი მეგობრული წერილი გაუგზავნა. ამის შემდეგ ამ ბავშვსა და გამოჩენილ მწერალს შორის გაიბა ხანგრძლივი მიწერ-მოწერა.

მარკ ტვენი პირველ წერილშივე (20 მარტი 1880 წ.) სწერს თავის მცირეწლოვან კორესპონდენტს, „ძალიან გთხოვ თვალყური ადევნო, რომ ამ პირად წერილებიდან არც ერთი ნაწყვეტი არ დაიბეჭდოს“-ო. ამ თხოვნას დ. ბოსერი ზუსტად ასრულებდა. ამ რამდენიმე წლის წინად დ. ბოსერი გარდაიცვალა და მარკ ტვენის წერილები ბოსერის მეუღლეს დარჩა. ამერიკის პრესის წარმომადგენელთა აზრით, ეს წერილები მოწმობენ მარკ ტვენის ბავშვებისა და ბუნებისადმი ულრმეს სიყვარულს, წერილები დაწერილია ავტორისათვის დამახასიათებელი ჰუმორით და გონებამახვილობით.

ვაჟა-ფშაველას პოეტიკა

(დასასრული)

ზიარებთ. როდესაც ვაჟას უსაყვედურებდნენ, სამშობლო ქვეყნის მომავალზე მხატვრულ აზროვნებით არაფერს ლაპარაკობსო, ვაჟა გარკვეული პასუხით გამოდიოდა. მან მთელი თავისი პოეზია პატრიოტული გრძნობის გამოხატვად ჩასთვალა და თავისი თავი მომავლის ქადაგად აღიარა. ჩვენ არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ პოეტის ამ განცხადებას.

ვაჟას ლექსებისა და პოემების უმრავლესობა სამშობლო ქვეყნის სიყვარულით იყო დაწერილი, და პოეტმა თავისი ხალხის სულიერი ზრახვების გამოხატვას შეალია მთელი თავისი პოეტური შთაგონება. მან წარმოიდგინა, რომ ქართველთა ხასიათის ნამდვილი ბუნება მთაშია შენახული და ნამდვილი ხალხური ფანტაზია შეუბღალავად გამომჟღავნებულია მხოლოდ ფშავ-ხევსურეთის ფოლკლორში. ვაჟას წერილებიდან ვტყობილობთ, რომ მას ფშავ-ხევსურეთი საქართველოს ყველაზე შეუბღალავ კუთხედ მიუჩნევია. წარმართობა-ნარევი ქრისტიანობა თავისი კუთხისა ნამდვილ ხალხურ რელიგიად წარმოედგინა. ხსენებულ მიდამოებში ფეოდალიზმს ფესვი ვერ გაედგა და შეიძლება ცივილიზაციის სუსხიდან არ დამძრალა ფშავ-ხევსურეთის ბუნება. ამიტომ ხალხის ბუნებაც მას ფშავ-ხევსურეთში მიაჩნდა შენახულად. ამირანსაც სიზმარი ამ კუთხეში უნახავს და ამ მხარეში შებრძოლებია ღმერთს. ვაჟაც აქ ესაუბრებოდა მთების მწვერვალებს და ისტორიულ გმირებს—თამარსა და ერეკლეს.

ვაჟა იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ეყრდნობოდა ხალხის მიერ შექმნილ გმირთა აჩრდილებს, ფოლკლორულ სახეებს და ხალხური ეპოსის პოეტურ სამყაროს. მისმა მებრძოლმა ლირიკულმა ხმამ დაგვიტოვა „გიგი“, „გმირის სიკვდილი“, „ამირანის სიზმარი“, „არწივი“, „გალაშქრება ლაშარისჯვრის დროშებით“, „ბებერი ლომი“, „ხმა სამარიდან“ და სხვ. ყველა ეს ლექსი ხალხურ მითთან არის დაკავშირებული, ისინი ცხოვრებისა და ბუნების დრამატიულ სურათებს წარმოადგენენ. მითი ვაჟა-ფშაველას პოეტური ხერხი იყო, რომლის საშუალებითაც იგი ჩვეულებრივ ადამიანებს არაჩვეულებრივ საქმიანობას აკისრებდა.

როდესაც ვაჟას პოეტურ სამყაროში შედიხართ, გოლიათური მთები თანდათან შემოგერტყმებიან გარს თავის პირველყოფილი სახეობით და ააშკარავებენ ხალხის პირველყოფილი არტისტიზმის და რაინდულ ხასიათებს.

გმირებთან ერთად აელვარდებიან რაინდული ხანის აქსესუარები: ჩაჩქანი, ბექთარი, გორდა, ფრანგული შვილდისარი და დარახტული ცხენი, თითქოს თეატრიდან მოტანილი რეკვიზიტი იყოს და მანქანისა და ელექტრონის ხანაში მისი გმირები დონკიხოტის მონათესავენი ყოფილიყვნენ, მაგრამ პოეტი ისეთ პირველყოფილი ბუნების სურათებს ჰქმნიდა და გმირების საქმიანობას ისეთს ყოფა-ცხოვრებითს ფონს უქმნიდა, რომ მისი გმირების არტისტიზმი დამაჯერებელი ხდებოდა და პოეტის სახეები ანტიურ მონუმენტალობის თვისებებს ამჟღავნებდნენ. თავისი კუთხის მხატვრული დასურათება და ქართველი ხალხის შინაგანი ენერგიის გამოხატვა იყო მისი პოეზიის ამოცანა. მითიური სახეების აღდგენა თვითმიზანი არ ყოფილა პოეტისათვის. ხალხურ სახეების ფანტაზიური გადამუშავებით იგი ცდილობდა ერთგვარი პოეტური ალეგორიები და იგავები შეექმნა. მისი ლექსები „სიზმარი ამირანისა“, „ერეკლეს სიზმარი“ და „მთების სიზმარი“ მითიურ წარმოდგენებიდან ალეგორიებში გადადიოდა და იქმნებოდა ნამდვილი პატრიოტული სულით გაჟღენთილი პოეზია. მისი „არწივი“, „ბებერი ლომი“, „დათვი“ უსათუოდ პოეტური იგავებია, იგავები არა გროტესკული და იუმორული იერით შელამაზებული, არამედ გმირული ხასიათის მატარებელი სამშობლოს სიყვარულისა და ქართლის ბედის შეფარვით გამომხატველი. ამგვარად, ვაჟას ლირიკა ხალხური მითისა და იგავების შორის ეძიებდა როგორც პოეტურ ფორმის საწყისებს, ისე შინაარსობრივ ტენდენციას. მისი პატრიოტიზმის ხალხურობა დაბადებულია მითების წიაღში და ამირანის მითიურ სახეს მიუცია საზრდო ვაჟას პოეტურ გაქანებისათვის.

მაგრამ არა მარტო ბუნების წიაღში აღზრდილი და დაბადებული გმირები და სახეები ატარებდნენ ვაჟას შემოქმედებაში მითიურ იერს,—საქართველოს ისტორიული გმირებიც ისტორიულ გარემოცვას შორდებოდნენ მის პოეზიაში და დროის ლოკალის გარეშე სცხოვრობდნენ. ისტორიულ გმირებს ისტორიული კონკრეტული თვისებები დაკარგული ჰქონდათ და დროის გარეშე იწყებდნენ მხატვრულ ცხოვრებას. „ხმა სამარიდან ირაკლისა“ ვაჟას თანამედროვებას ესაუბრებოდა და მოუწოდებდა ფშავ-ხევსურებს სამშობლოს თავდადებისთვის, ხოლო მოთხრობაში ერეკლე ვაჟას თანამედროვებაში აგრძელებდა ცხოვრებას და ტყეში ნადირობდა. „გველის მჭამელში“ მინდია თამარის მოლაშქრედ იყო გამოყვანილი, ხოლო მინდია, პოემის აქსესუარების მიხედვით, მე-19 საუკუნის მცხოვრებლად უნდა წარმოვიდგინოთ. ამგვარად, ისტორიული გმირები ვაჟას პოეზიაში განშორებულნი არიან ისტორიულ გარემოცვას და ისინი ვაჟას პოეზიაში სცხოვრობენ არა როგორც განსაზღვრული ხანის წარმომადგენლები, არამედ როგორც მითიური სახეები, მათ დაუკარგიათ თავიანთი ხანის სინამდვილის კოლორიტი და მითიური კოლორიტი მიუღიათ. ისინი მოქმედებენ არა როგორც მეფეები, არამედ როგორც ხალხური გმირები, ერეკლე ამირანის მსგავსად სცხოვრობს მარადისობაში და ერთი ხანიდან მეორე ხანაში ისე გადადის, როგორც ეზოდან ეზოში. ამგვარად, ისინი განსაზღვრულ ისტორიული სინამდვილიდან ხალხთან ერთად მარადიულ ცხოვრების შვილები ხდებოდნენ. „სიზმარი ამირანისა“ და „სიზმარი ერეკლესი“ ამნაირად უკავშირდება ერთმანეთს. ერეკლე, თამარი და ამირანი სცხოვრობენ ხალხის წარმოდგენაში როგორც ერის ენერგიის გამომჟღავნებელი გმირები. ვაჟას პოეზიაში დროის ლოკალიზაცია არასოდეს არ ხდებოდა და გმირები და სახეები განსაზღვრულ დროის ლოკალში არ ექცეოდნენ.

ვაჟას ხალხურ მითში უპირველესად ვაჟკაცობის მაჩვენებელი ხასიათი აინტერესებდა. მის ლირიკაში გამოხატული გრძნობები უპირველესად ხალხის გმირობაზე და ვაჟკაცობაზე ჰქადაგებდნენ. მთელი ბუნება შეიარაღებული ჰყავდა პოეტს და სალაშქროდ განმზადებული. მთები თავჩაჩქნიანები ჰყავდა წარმოდგენილი და „არაგვმა ლახტი აიღო ამირანისა“.

მილეწ-მოლეწა კლდეები,
მტკვარს გაადინა ჯახანი,
კართანას ფარი წაართვა,
უინვალს მოგლიჯა ჩაჩქანი“.

სამხედრო საჭურველის მხატვრული გამოხატვა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ვაჟას პოეზიისა. სამხედრო საჭურველი ვაჟას პოეზიაში განსაკუთრებული ცხოვრების მატარებელია. გმირის სიკვდილის წინა წუთებში მეგობრები ხმალს მოიკითხავდნენ უპირველესად:

„ხმალი რას შერება გიგისი,
ფრანგული გველისპირისა,
— სამჯერ იღვრება დღეში
უგიგოობას სტირისა“.

სიკვდილის წინ გმირის მთავარი საზრუნავია, როგორ გაანაწილოს თავისი სამხედრო საჭურველი და ვის გადაულოცოს რაინდული თვისების მატარებელი სამხედრო იარაღი. იარაღი პოეტისათვის სიმბოლო იყო ვაჟკაცობისა და ქართველი ხალხის წინანდელი ძლიერების გამომხატველი. მე-19 საუკუნის კაპიტალიზმის შემოჭრა და ქართველი ხალხის ძველი ყოფა-ცხოვრების რღვევა პოეტის შინაგან დრამასა ჰქმნიდა; რაინდული წარსულის და ახალის შეჯახების ფონზე იბადებოდა პოეტის შინაგანი დრამატიული კოლიზია. წარსულის ამგვარი რღვევა და რაინდობის გადაგვარება პოეტმა შესანიშნავად დაგვისურათა სამხედრო იარაღის დრამატიულ მდგომარეობაში. ლექსი „ხმლის ჩივილი“ ამგვარი საზოგადოებრივი დრამის მაუწყებელია. „ხმლის ჩივილში“ პოეტს აუმეტყველებია ქართველთა წარსული ძლიერების სიმბოლო—ხმალი:

„შვიდასი წელი გამიხდა,
არ გავპოხილვარ დუმითა,
არ ულესივარ ქართველსა,
დაღლილნებით ჩუმითა“.

ამგვარად, ვაჟკაცობის სიმბოლო—ხმალი თვითონ ხდებოდა პიესის მთავარ მომქმედ პირად და სიუჟეტში ადამიანივით მოქმედებდა. ეს თემა ვაჟამ გადაამუშავა აგრეთვე ხალხურ თქმულებაში — „ბათურის ხმალში“. როდესაც ბათური მოკვდა, მისი ხმლის მომმარჯვებელი მეომარი არ აღმოჩნდა სოფელში და შეწუხებული „ხმალი თავისთავად ამოწვდილა ქარქაშიდან, ჰაერში ნავარდი დაუწყია და შემდეგ თავისთავად ჩაგებულა ქარქაშში“. ხმალი კიდობანშიც ვერ მოთავსებულა და თავისი ჟღერით მთელი ბიოგრაფია მოუყოლია კიდობანისთვის. ხმალი მხოლოდ მაშინ დამშვიდებულა, როცა სოფელში ყველაზე უფრო მეომარი, ლაშარის წმინდანი უპოვიათ და ხმალიც მისთვის გადაუციათ. ასე მეომართა იარაღი ვაჟას პოეზიაში დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებდა და ბერძნულ მითებში მოთხრობილ იარაღივით სულიერდებოდა. ვაჟას პოეზიაში გმირთა მორჭმულობა თვითონ გმირის ბიოგრაფიას მოუთხრობდა მკითხველს. ამირანის მითიური ხმალიც ცის დაფიონივით ელვარებს ვაჟას პოეტურ სამყაროში. ამირანის შვილები და შვილიშვილები განსაკუთრებული სიყვარულითა და შთაგონებით იხსენებდენ თავიანთ იარაღს, „გმირის სიკვდილი“, „გიგი“, „ძაღლიკა ხიშიაური“ და სხვა ლექსებში ასეთი განწყობილების მხატვრული დადასტურებაა. ზემოჩამოთვლილ ლირიკულ შედევრებში იარაღის სიყვარული და გმირობის კულტი იყო გამეფებული; მისი გმირები სიკვდილის წინ იარაღს არ იშორებდნენ და იარაღზე გადაწოლილნი კვდებოდნენ:

„ეს სთქვა მხცოვანმა რაინდმა,
დაიდვა თავით ხმალია,
ხანჯალი, ფარი, ჩაჩქანი
და ისე სული დალია“.

მართალია, აღწერილ სურათში ერთგვარი არტისტიზმია დაცული და გამოაშკარავებული, მაგრამ ეს არტისტიზმი პირდაპირ ხალხის ცხოვრებიდან არის ამოღებული. გიორგი თედორაძის წიგნში[1] აღწერილია ნამდვილი ამბავი ხევსურის სიკვდილისა. სასიკვდილოთ დაჭრილი ხევსური ხელში სანთლით თავის ნათესავებს აფიცებდა ხმალზე მტრის სამაგიეროს გადახდას, და საომრად მომზადებული კვდებოდა. ვაჟაც გმირების არტისტულ პოზის ჩვენებაში ძალზე რეალისტია. ფშავ-ხევსურთა ყოფაში იგი ეძიებდა ისეთს ეპიზოდებს, რომლებიც გაამართლებდნენ მის პოეტურ შთაგონებას. ამგვარად, დაჭრილი არწივი და ხევსური ბერდია ერთგვარად იგონებდნენ თავიანთ გმირულ თავგადასავალს.

„ვაჰმე, რა მკლავი მოდუნდა,
ხმალს ვერ მოიქნევს ჰალარა,
გული თუმც მერჩის ტიალი,
მოხლებს მოძდევს აღარა,
ვაჰ, დედას მტრისას, რას ელით“ და
სხვა.

ხოლო დაჭრილი არწივი თითქოს უპასუხებდა ბერდიას:

„ვაჰ, დედას თქვენსას, ყოვებო,
ცუდ დროს ჩამიგდეთ ხელადა,
თორო ნახავდით თქვენს ბუმბულს,
გაშლილს, გაფანტულს ველადა“.

ამგვარად, ვაჟა ბუნების დამოუკიდებელი მხატვარი არ არის, მას ბუნების საიდუმლოების გამოხატვაში იგავის ინტონაცია შემოაქვს და მისი გმირების მძაფრი ხასიათი და ბუნების სურათები ერთგვარად ცხოვრობენ პოეტურ სამყაროში. მისი ბუნებაც მხედრულია და ვაჟკაცური, დინამიური და ბატალური სურათების მატარებელი. ბუნების იდილიური გამოხატვა ვაჟასთვის დამახასიათებელი არ იყო. ვაჟას ბუნება მუდმივ მოძრაობასა და ქიდილში იყო. იგი ილია ჭავჭავაძეზე უფრო დაახლოვებული იყო მშფოთარე თერგთან, და მოძრაობა და მოძრაობა ბუნების დამახასიათებელ თვისებად მიაჩნია. ტიუტჩევი ამბობდა, „მღერადობა მარად ისმის ზღვის ტალღებში“-ო. ეს მღერადობა მთის ბუნებისა პოეტს მახვილი სმენით ჩაუმწყვდევია პოეტურ მეტყველებაში. ვაჟას პოეტურ ბუნებაში შესვლისას მკითხველს წარმოუდგება გიგანტებით დასახლებული ხეობა, ამ ხეობაში ჩრდილის გამრღვევი სხივები უფრო რელიეფურია და სქელი, ხოლო ჩრდილები უფრო ხელშესახები და ხმლით გასაკვეთნი ხდებიან.

„მაგრამ გაჩნდება ჯანღი რამ,
კურუმთ შავი ფერითა,
დაეფარება სანახავს
წერა-მწერელის წერითა,
ზედ აწევს ჯადოსავითა,
არ დაიმტვრევა კვერითა,
ვერ შეულოცავს მლოცავი,
არ აიხდება ხელითა“.

ამგვარად, სიბნელე თუ შუქი ვაჟას პოეზიაში მატერიალური სხეულების მსგავსად გვევლინება. პუშკინი „არზრუმს გამგზავრება“-ში სწერდა, რომ დარიალში შესვლისას და ამ ბუნების განჭვრეტისას რემბრანტის სურათი „ჰანიმედის მოტაცება“ მომაგონდაო. ვაჟას პოეტურ პეიზაჟებშიც სინათლისა და შუქის თამაში სავსებით ეგუება ფშავ-ხევსურეთის ბუნებას, და მისი პოეტური პალიტრა ამ კუთხიდან ღებულობს საღებავებს.

თავის პოეტურ განცდებს ვაჟა პოეტურ შედარებებში აწსხეულებდა, მას შეეძლო სევდა ხავსად წარმოედგინა, ნისლი, მთების ფიქრად გამოეხატა და ამით მთების კაცობა დაედასტურებინა. ვაჟა-ფშაველას პოეტური სახეები და მეტაფორები ხშირად ზღაპრულ ელფერსაც ატარებდნენ:

„აჩქამდა ბუერაზედა
ანკარა წვიმის ცვარები,
ველზე ბზინავენ ყვავილნი,
თამარ დედოფლის თვალები“.

დასახელებული შედარება უბრალო პოეტური სახე კი არ არის,—იგი ზღაპრული ელფერის მატარებელია და ამ შედარების ქვეშ მთელი სიუჟეტის წარმოდგენა შეიძლება.

„ცოტა რამ მკრთალი სანთელი,
ნამატის ხატში ჩნდებოდა,
სანთლები ენთო ყორეზე,
ალი იფინება წვდებოდა,
ხან ცისკრად გამოაშუქის,
ხან კი მინელდის, ქრებოდა,
სულმაბრძოლ სხეულსა გავდა,
ტანჯვა-ვაებით კვდებოდა“.

ასეთი რთული, სიუჟეტურად გაშლილი და პოეტურად გამოკვეთილი შედარება იშვიათია ქართულ პოეზიაში. იგი დიდი შინაგანი არტისტიულობით არის გახსნილი და პოეტური ხილვის შედეგად მოვლენილი. პოეტური ხილვის და მოულოდნელობის მაჩვენებელია მისი სახე „სიბნელე მიიპარება, სინათლეს სული ამოხდა“ ან რთული და მთელი პეიზაჟის გადმომცემი შედარება:

„მცირე რამ ნისლი, ნაწყვეტი,
მთას ეკრა ბუმბულივითა,
შვენოდა ფიქრებში გართვა,
მინდორზე სუმბულივითა“.

ამგვარად იბადება მთელი სისტემა სახეებისა და შედარებისა, ისინი ორკესტრივით აწყობილი არიან ვაჟას პოეზიაში და კი არ ართულებენ ნაწარმოების შინაარსისა და იდეის გაგებას, არამედ შესანიშნავ კოლორიტს უქმნიან და საოცარი სურათოვნობით მეტყველებენ მკითხველის წინაშე. მისი პოეტური სახეები ძალზე პლასტიურია და პოეტური ხილვის იშვიათ და საოცარ ნიმუშებს წარმოადგენენ, მის პოეტურ შედარებას ახასიათებდა მოულოდნელობა შედარებისა, რომელიც მხატვრულ დამაჯერებლობასთან არის დაკავშირებული. მოულოდნელობა პოეტური ხატოვნობისა ვაჟას უდიდესად ჰქონდა განვითარებული, მის მიერ დახატული სახეები იმდენად გამოკვეთილი და ხელშესახები არიან, რომ მის პოეტურ ხატოვნობაზე მუშაობა ჩუქურთმების მთლელის გენიალურ ოსტატობას გვაგონებს.

---

[1] „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული აა—173